



ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი № 27

მარტი 2013

საქართველოსთვის! საქართველოსთვის! საქართველოსთვის!

ბიჭებო, სწორდით!..

საქართველო

თუკი ვინმეს მოესურვა ძველი წყლული გაგვიმთელოს, და ამ გრძნობით მოველინა ჩვენს პატარა საქართველოს. თუ კვლავ სისხლით აღარ მორწყავს მის მთა-გორებს, მინდორ-მდელოს, თუ უხეშად ხელს არ ახლებს ჩემს სატრფოს და სამლოცველოს. თუ რომ იგი უკუაქცევს შემოტანილ ხმალს და ხიშტებს, თუ სიფლიდეს არ შევწამებ, თუ მტრულად არ შემოგვიტევეს, თუ ვიხილავ ქართულ დროშას, თუ მოვისმენ კვლავ დიდებას და ადგილი არ ექნება აქ პირადულ განდიდებას. თუკი იგი მშრომელ მუშას რასაც ამბობს, იმას მისცემს და ამავ დროს ქართველობას შეურცხვენლად დაამტკიცებს. თუ დაიცავს ეროვნულ სულს ბრძოლის ცეცხლში გამოვლენულს, არ ვიხილავ ჩემს სამშობლოს გოლგოთაზე ჯვარცმულს, ვნებულს, — მაშინ, მაშინ მეც მათთან ვარ, წინ ვერ გამისწრებენ სხვები, დაჩაგრულთა სამსხვერპლოზე მე პირველი დავინვები. მაგრამ ვინმე თავხედურად თუ ჩვენს საზღვრებს გადმოლახავს, ჩემს სამშობლოს დამიძვირებს, შემიგინებს, შემილახავს, დამიჩაგრავს, დამილონებს, ცრემლს დაადენს უმიზეზოდ და ჩვენს ლამაზ ბალ-ნალკოტებს გადააქცევს მტრების ეზოდ, ძალადობას გაგვიბედავს, მანდილს მოხდის ქართველ დედას, ციხე-კომპებს შეგვიგინებს. ჯაჭვ-ბორკილებს გაგვიჭედავს; მწუხარებას შემოიტანს, მწუხარებას — შავ ფრთა გაშლილს, აატირებს მთანმინდაზე ილიას და ბარათაშვილს. შავს ჩააცმევს ტურფა თამარს, ძაძით მორთავს სათნო ნინოს, მაშინ დაე, ჩვენმა მტერმა საპასუხო მოისმინოს: იცოდეს, რომ ვერ დაიპყრობს ძალით ჩვენს სულს ვერასოდეს, არ გვესურს, ვაჟას ნორჩი ნუკრი კვლავ სისხლიან ბალახს ძოვდეს. იცოდეს, რომ ვერც ერთ ჩვენგანს ის მტრობით ვერ შეიერთებს, თაყვანს არ ვცემთ არვის კერპებს, არ ვინამებთ არვის ღმერთებს. ჩემი ერი ამაყია და ის მონა არ გახდება, თუ აქამდე არ მომკვდარა, მომავალშიც არ მოკვდება. მწამს, მსოფლიო ასპარეზზე ის გაიტანს ზღაპრულს ლელოს და კვლავ ვნახავთ მკედრითი აღმდგარ, გამარჯვებულ საქართველოს!

საფო მგელაძე.
1917 წ.

* * *

ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის — რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ახლა ჩვენ — შუა? მარტო ერთი ბრტყელი ენა მნიგნობარისა... მარტო ბრტყელი ენა-მეთქი მნიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმადლრისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიან...

ილია ჭავჭავაძე.

გვანის დედა და ჩაგრული სამეგრელო!



სამშობლოს მოღალატეთა ძეგლები

ვინც უღალატა მამულს, ზურგში მახვილი ჩასცა, ყიდდა სამშობლოს მიწას, ყიდდა სამშობლოს ცასაც, ყიდდა 30 ვერცხლად, ზოგჯერ — სულ ჩალის ფასად, ვინც ნაკუნ-ნაკუნ დაჭრა, ან საჩუქრებად გასცა, მას, ვინც აღზევდა თავის ხალხის ცრემლით და სისხლით, ვინც ღირსი არის ფურთხის, წყველის, გინების, ზიზლის, უნდა დაუდგათ ძეგლი, ისე, რომ ყველამ ნახოს, ლაფში, ტალახში, ანდა სადმე სანაგვის ახლოს. მას, ვინც სამშობლოს ყიდის დღეს და გაყიდის ხვალაც, ვინც კვლავ გაივლებს გულში თავის სამშობლოს ღალატს. ვინც საქართველოს გასცემს ისევ იუდას ვერცხლით, ვინც კვლავ მოუვა მამულს მახვილითა და ცეცხლით, ლაფში, ტალახში, ანდა სადმე სანაგვის ახლოს უნდა დაედგას ძეგლი, რომ თაობებმა ნახონ, ზიზლით, გინებით, წყველით როგორ აფურთხებს ყველა გამყიდველს თავის ერის: — მეფეს სარდალს თუ ბელადს.

ნოდარ ჯალაღონია.

გმირები (პათეტიკური)

სალამი სალამს: ხერთვისს და რუსთავს; რუსთავს და არმაზს; არმაზს და ჭყონდიდს! ჩვენ ბევრჯერ ვიშვით და ბევრჯერ მოვკვდით. და როცა მოვკვდით — ყოველთვის ვცხონდით!..
სალამი სალამს: ნინოს და თამარს; თამარს და ნინოს; და ისევ — თამარს! თვედორე ხუცესს; პაატა რაინდს; ცხრა ლომგულ ძმას და არაგველს სამასს!.. ყველანი აქ ვართ! აქ არის ყველა! შეხედე: ცოტნეც მოვარდა ჩოროთი! — საქართველოსთვის! საქართველოსთვის! საქართველოსთვის! ბიჭებო, სწორდით!..

ტარიელ ჭანტურია.

ერთ დროს

ერთ დროს საამოდ გვცემდა ახლოდან დამათრობელი სუნი ვარდების, ერთ დროს ფრინველიც გაიძახოდა თუ გაჰყიოდა „ნუ გათათრდები“. ერთ დროს უყვარდათ საქართველოში, როგორც არასდროს არსად უყვარდათ, ერთ დროს ვერავინ გადაგვთელავდა, გინდ ყოფილიყო მტერი უხვადაც. ერთ დროს მოყვარეს მტრისგან ვარჩევდით, როცა ნიღბები იყო ნაკლები, ერთ დროს ვეძებდით გზას გადარჩენის, რადგან მრავალი გვყავდა ამკლები. ერთ დროს ვიყავით უფრო მალღები ბრძოლით და არა სავსე მაგიდით, ერთ დროს... ახლა კი უამი აღრევის მღვრიე ღვარცოფად ცხვირწინ ჩავგიდის. ერთ დროს ქართველიც ქუხდა სიმრავლით, ერმა ქალიც კი მეფედ აკურთხა, ერთ დროს, ახლა კი დალი მიმავლის გვადევს და გვართმევს ბევრი საკუთარს. ერთ დროს ქართველიც იყო ფიცხელი, მკერდით იცავდა კარსა და ერდოს, ერთ დროს... და დარდით უცებ ვფიზილდები: რომ ყველაფერი ეს იყო „ერთ დროს“.

ნუგზარ წერეთელი.



ობუჯში, 2013 წლის 15 მარტს, პარასკევს, დილის 11 საათზე, ნამონასტრალთან, ნოჯისურის გორაზე ჯვარი აღიმართა!

გილოცავთ, ობუჯელებო, ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და რწმენაში გაგაძლიეროთ!

ამინ!



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №19, 20, 21, 22, 23).

ყველაზე კარგად იბერთა დამსახურება, სამხრეთ ამერიკის ცივილიზაციის შექმნაში, კარგად ჩანს ნიგნში „ინკების სახელმწიფოს ისტორია“.

ინკებს ჰყავდათ ინდიელი, ესპანეთის არისტოკრატიულ წრეში აღზრდილი და განათლებული პიროვნება, ინკა გარსილასო დელა ვეგა, მან XVII საუკუნეში მოღვაწეობის პერიოდში შექმნა ფუნდამენტალური ნაშრომი „ინკების სახელმწიფოს ისტორია“. ნიგნში დეტალურად არის აღწერილი ინკების სახელმწიფოს ყველა მეფის მოღვაწეობა და მათი ზნეჩვეულებანი. მართალია, მსგავსი ნიგნები არა აქვთ არც მაიასა და არც აცტეკების ტომებს, მაგრამ, როცა ინკა გარსილასო დელა ვეგა აღნიშნულ ნიგნს ვკითხულობთ, ვგულისხმობთ, რომ ეს მართო ინკების სახელმწიფოს ისტორია არ არის. ამ ნიგნში მოთხრობილია მთელ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე თეთრკანიანი ბელადებისა და ინდიელ აბორიგენთა ურთიერთობა, ეთნოგრაფიული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით.

ჩვენ ზემოთაც შევნიშნეთ და ახლაც ვიტყვი, რომ სიტყვა „ინკა“ (ინა, ინკი) მეგრულად უცხო მხრიდან, მოსულ ადამიანს ნიშნავს. როგორც ჩანს, დროთა სვლის პერიოდში ეს სახელწოდება შემორჩათ თვით ფერადკანიანი ინდიელებს და დღეისათვის მთელი მსოფლიო მათ (ინდიელებს) ინკების სახელით იცნობს. ისე კი ინკები ის ხალხი იყო, იბერები, რომლებიც აქ მოვიდნენ თავიანთი მდიდარი ცივილიზაციით, ამიტომაც ჩვენც ნუ დავარდევთ ტრადიციებს და ინდიელ აბორიგენებს ინკა ვუწოდოთ.

ინკები ყოველთვის აღიარებდნენ, რომ გრანდიოზული ძეგლები, რომლებიც აღმართულია უდაბურ ქალებში, შექმნილია თეთრკანიანი ხალხის მიერ, რომლებიც მოვიდნენ მათთან, ჩრდილოეთიდან, შუეცნობელნი და იდუმალნი. აქ ცხოვრობდნენ იმ დრომდე, ვიდრე ქვეყნის მმართველობა არ გადავიდა თვით ინკების ხელში. ამ შემოქმედ ხუროთმოძღვართა შესახებ ინკები ამბობდნენ, რომ ისინი, იყვნენ ბრძენი, მშვიდობისმოყვარე და დამრიგებელი ხალხი, რომლებიც ისტორიის გარეგანაჟზე მოვიდნენ და შეასწავლეს მათ პირველყოფილ წინაპრებს სამშენებლო საქმე, მინათმქმედება და ირიგაცია. ასევე გადასცეს მათ თავიანთი ზნე-ჩვეულებანი. ისინი არ გვანდნენ ინდიელ აბორიგენებს, მათ თეთრი კანი, მოკლე წვერი და არნივისებური ცხვირი ჰქონდათ. სიმალლით ისინი ინკებზე უფრო მაღლები იყვნენ. მათ ისევე სწრაფად დასტოვეს პერუს ტერიტორია, როგორც გაჩნდნენ იქ. ძალაუფლება ინკების ხელში გადავიდა. თეთრკანიანმა მასწავლებლებმა მიატოვეს სამხრეთ ამერიკა და სადღაც წყნარი ოკეანის დასავლეთით მიიმალნენ.

ამ მოსაზრების ნათელი დადასტურებაა ინკების უპირველესი

თეთრკანიანი ღმერთკაცის, ვირაკოჩას უდიდესი პატივისცემა და ინკების სარწმუნოება „იკამენ“ ალბათ „ინამე“.

ვირა-კოჩას შესახებ აი რა სწერია „ინკების სახელმწიფოს ისტორიაში“. მეექვსე მეფის ინკა-როკას შემდეგ ძალაუფლებას ხელთ იღებს მისი შვილი იავარ ვაკაკი, მეშვიდე ინკა. იავარ ვაკაკს ჰყავდა ვაჟი, ტახტის მემკვიდრე. მისი სახელი არ არის ცნობილი. მას ჰქონდა მეტად მძიმე ხასიათი. იგი მამის წინააღმდეგი იყო ყოველთვის. მათ შორის მომხდარი უსიამოვნების საფუძველზე იავარ ვაკაკიმ მისი შვილი სატახტო ქალაქ კოსკოდან გააძევა და უბრძანა წასულიყო მთაში და ემწყემსა მზის (მამის) ღმერთის სახელ-

მოთხრობითი, მაშინ ინდიელები წინ აყენებენ იმ სიტყვას, რომელიც დგას მოთხრობით ბრუნვაში (გიკვირთ, არა? დიხ კერუს) ენაში ასეთი რამაც არსებობს). თუ ჩავთვლით სწორად იმას, რომ ვირა არის ცხიმი და კოჩა — ზღვა, მაშინ ზემო წესის დაცვით ვირა-კოჩა არავითარი ინდიელთა სიტყვა არ არის, არამედ ის არის ჩვენთვის უცნობ ენაზე სახელი იმ აჩრდილისა, რომელიც უფლისწულს გამოეცხადა, როგორც მზის შვილი. დიახ, ვირა-კოჩა მეგრული შედგენილი სიტყვაა და ნიშნავს ამაღლებულ მუფე კაცს. ვირა — მუფე, ამაღლებული და კოჩი, კოჩა-კაცი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: ინკები თავიანთ

ის ძმა ვარ, ახლა კვლავ ძმას რომ შეხვდა. ვუცქერ შენს მხარეს, როგორც საკუთარს,

მე მთანინდაზე ამაღლებული, თითქოს ის ჩემი — იბერიის მთა შენს იბერიის მთას ერწყმის

გულით, მე აქ მოვედი, რომ გამეგონა მრავალმხიანი თქვენი ჰანგები. ეს ის ხმებია, დედის ბაგებთან რომ ნამომეყვა და არ ვიკარგები, რა საიდუმლო ჩაგმალავს,

თქვი, საქართველოვ, საამურო! ერთგვარ სახელებს, ერთგვარ სისხლისღვრას

გადურჩენიხარ, ესკუდია — საქართველოვ, — ჩემო მამულო! ტყვიით და სისხლით,

მზის უპილავი რეპაზ პრისტავი

ზე არსებული საქონლის ნახირი. უფლისწული წავიდა მწყემსად. იგი იქ სამ წელიწადზე მეტ ხანს იმყოფებოდა.

ერთხელ უფლისწული, სრულიად მოულოდნელად გამოცხადდა მამის სასახლეში. იავარ ვაკაკი ამის გამო ძალზე გაბრაზდა და ბრძანა, უფლისწული უკანვე გაბრუნებულიყო სამწყემსოში. პრინცმა მამას შეუთვალა, რომ მოვიდა მხოლოდ იმისათვის, რათა აცნობოს მას ერთი მნიშვნელოვანი ამბავი და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდება სამწყემსოში.

მეფე უსმენს უფლისწულს. აი, რა მოახსენა მან მამას: „გუმინ, შუადღეს, არ ვიცი მეძინა თუ არა, ხის ჩრდილში ვიყავი ნამონოლილი, ჩემს წინ გამოცხადდა უცნაური ჩაცმულობის კაცი. მისი გარეგნობა ძალზე განსხვავდებოდა ჩვენიგან. ჰქონდა მოკლე წვერი, თეთრი კანი და კეხიანი ცხვირი. ტანთ ეცვა გრძელი, კოჭებამდე თავისუფალი მოსაცმელი. მას თან ახლდა უცნაური ცხოველი, რომელიც ჯაჭვით ჰყავდა გამოზმული. მან მითხრა: მე ვარ მზის შვილი, მე მქვია ვირა — კოჩა. მე მოვედი ჩვენი მამის — მზისგან, რომ გაცნობო შენ და შენს მამას, რომ მოკლე დროში მოსალოდნელია თქვენი ქვეშემდგომების აჯანყება და რომ ამ აჯანყების დროს მამაშენი დამარცხდება. იმპერიის სატახტო ქალაქი კოსკო დაინგრევა და განადგურდება.“

როგორც უფლისწულის მონაცემებიდან ჩანს, ვირა-კოჩა მზის შვილია. უფლისწული ამბობს, რომ ვირა-კოჩა იყო მაღალი, წვერიანი კაცი (ინდიელებს საერთოდ წვერი არ ამოსდებოდა, ისინი უწვერონი არიან). მას ჰქონდა კეხიანი ცხვირი, ტანთ ეცვა ტანსაცმელი გრძელი, თავისუფალი, ისეთი, რომ ფეხებს უფარავდა (ინდიელებს მუხლს ქვემოთ ტანსაცმელი არ აცვიათ).

ესპანელი ისტორიკოსები და მკვლევარები ამბობენ, რომ ინდიელები ვირა-კოჩას ესპანელებს ეძახიანო, თითქოსდა „ვირა“ ინდიელთა ენაზე ნიშნავს ცხიმს ან ქაფს და კოჩა კი ზღვას, ე.ი. ვირა-კოჩა ნიშნავს ცხიმს ან ქაფს ზღვიდან, ეს თითქოს დაკავშირებულია იმასთან, რომ ესპანელები ზღვის ქაფივით თეთრი არიან და თანაც ზღვიდან არიან მოსულები.

ინკა გარსილასო დელა ვეგა ამ მოსაზრების სასტიკი წინააღმდეგია. იგი ამბობს, რომ ვირა-კოჩას სახელი ინდიელთა რელიგიაში გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე კონკისტადორების პირველი ვიზიტი ამერიკის კონტინენტზე (კორტესი, პისარო). ყველა, ვინც ამ აზრს იზიარებს, ცდებაო. მათ სიტყვა — შეთანხმება ვირა-კოჩა ვერ გაუგიათო, რადგან საფუძვლიანად არ იციან ინდიელთა ენა-კერაჟი.

საერთოდ, როცა ინკების ენაში ორი სიტყვა უკავშირდება ერთმანეთს, რომელთაგანაც ერთი სახელით ბრუნვამია და მეორე

ენაში, კერაჟში, ყველა გეოგრაფიულ დასახლებებში, სადაც კი ასო „ლ“ არის გამოყენებული, გამოთქმის დროს მას ისე არბილებენ, როგორც მეგრელები თავიანთ მეგრულ ენაში ასო „ლ“-ს. ეს კარგად ჩანს ინკა გარსილასო დელა ვეგას ნიგნის „ინკების სახელმწიფო ისტორიის“ რუსულ თარგმანშიც. ყველგან, სადაც კი გეოგრაფიულ დასახლებებში ასო „ლ“ არის ნახმარი, მის გვერდით რბილი ნიშანი დგას. მაგალითად: კალიაო (Кальяо), ტრუხილიო (Трухильо), ოლიამპუ (Ольямпу), პუკალაპა (Пукальпа), და სხვა მრავალი.

ძალზე ძნელია ამ ერთ, მცირე მოცულობის ნაშრომში ილაპარაკო იმ გეოგრაფიულ დასახლებებზე (ტოპონიმებზე), რომლებიც მთელი მსოფლიოს კონტინენტზეა მიმოხვეული და თანაც ქართული, მეგრული სიტყვებით არის გამოხატული.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ირწმუნებიან, რომ სიტყვების ლექსიკური მსგავსება არ არის რეალური საფუძველი ორ ენას შორის ნათესაური კავშირის დამყარებისა. ისინი ძირითადად ენის შინაგან სტრუქტურას ეყრდნობიან და მასში ხედავენ, სწორედ, ენათა ნათესაური კავშირების ამოსავალ გზებს. კი, ეს დებულება მართალია, მაგრამ მე მაშინ ვეკითხები მათ: მაშ, რა ვუყვით იმ ორასამდე სიტყვას, რომლებიც ლექსიკური თვალსაზრისით ეთნოგრაფიულ ანალოგებს, რომლებიც ქართულ და ბასკურ ყოფა-ცხოვრებაში ასე მკვეთრად რომ შეიმჩნევა? განა მათი უარყოფა შეიძლება? განა შეიძლება, რომ ქართველებისა და ბასკების ნათესაური კავშირი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს? ბასკებმა საქართველო რომ დატოვეს, მას შემდეგ 3500 წელი გავიდა (ან მეტი), მაგრამ მიუხედავად ამისა, თვით ბასკები ჩვენ საკუთარ ძმებს გვინოდებენ, მრავალი წლის წინ ბედის უკუღმართობით რომ დავცილდით ერთმანეთს.

გავისწავლოთ ბასკი მწერლისა და პოეტის ლუის არანბურუს ლექსი „ქართველ ძმას“, რომელიც მან საქართველოში მოგზაურობის დროს დაწერა და უძღვნა ქართველ პროფესორს, ბასკურ-კავკასიურ პრობლემათა ერთ-ერთ ენთუზიასტს, ილია ტაბალუას (ლექსი ქართულ ენაზე თარგმნა პოეტმა ფრიდო ხალვაშმა).

„მისმინე, ლაგუნა ილია, მისმინე ძმაო, რასაც აქ ვამბობ, ჩემს სისხლშია

ათასი წლობით: არც სტუმარი ვარ აქ მე ახლა, არც მეგობარი. გამდარეული ამ მთებით და ამ მასპინძლობით არამედ ძმა ვარ, განმორებული ვინ იცის როდის, რომელ დელგამაში ჭირთა და მეხთა,

მოხნულ-მორწყულო, ვერ წარიტაცა ჩემი და შენი მიწა ვერავინ, ალბათ ამიტომ ჰგვანან

ერთმანეთს ჩვენი თავთავი, ჩვენი მტევანი, მისმინე, ლაგუნა — ილია, მისმინე, ძმაო, მოსულვარ შენთან, განმორებული, ვინ იცის როდის,

რომელ დელგამაში ჭირთა და მეხთა, მე ძმა ვარ, ახლა კვლავ ძმას რომ შეხვდა.“

ცნობილი ქართველი ლინგვისტი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე თავის ერთ-ერთ სტატიამში „ჰიპოთეზიდან აღმოჩენამდე“ (გაზეთი „კომუნისტი“, 6 ნოემბერი 1984 წ. №231) წერს: „თუ ჩვენ აქამდე მივვარდებით, რომ ქართველი ენათმეცნიერებისათვის და საერთოდ, სხვადასხვა დარგის ისტორიულ შედარებით ენათმეცნიერებისათვის, აუცილებელია ინდოევროპული ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება, ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინდოევროპული ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, აუცილებელია ქართველური ენათმეცნიერების მონაცემების გათვალისწინება. ჩვენი ღრმა რწმენით ახალი პერსპექტივები ინდოევროპული ენათმეცნიერებაში გადაიშლება სწორედ ქართველურ ენათმეცნიერების საფუძველზე, ქართველურ ენათა შედარებით ისტორიულ შესწავლის საფუძველზე. ამით განისაზღვრება ის მნიშვნელობა და როლი, რომელიც ქართველურ ენებს ენიჭება შედარებით — ისტორიული ენათმეცნიერების შემდგომ განვითარების თვალსაზრისით და საზოგადო თეორიული ენათმეცნიერებისათვის.“

გარდა ამისა, ქართველთა ეთნო-გენეტიკური პრობლემების უფრო ღრმად და ფართოდ შესწავლის მიზნით, ქართველურ ტომთა პრეისტორიული განვითარების ადეკვატური სურათის აღსადგენად, საჭიროა ქართველური ენების მიმართ შესრულდეს იმავე ხასიათის სამუშაო, როგორც ახლა ინდოევროპულ ენათა მიმართ არის შესრულებული. სათანადოდ გაანალიზდეს საერთო — ქართველურ ლექსიკა. ეს კი საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად აღვადგინოთ საერთო ქართველური სულიერი და მატერიალური სამყარო ჩვენი წინაპრებისა, რომლებიც ქართველურ ენაზე მეტყველებდნენ, რათა ღრმად და ფართოდ გამოვიკვლიოთ ისტორიული — ქართულ-ქართველური ტომების ჩამოყალიბების გზები.“

როგორც აღნიშნული ვრცელი ციტირება ჩანს, ბატონი თამაზ გამყრელიძე მიუთითებს, რომ „უნდა გაანალიზდეს საერთო — ქართველური ლექსიკა“. დიახ! საერთო-ქართველური ლექსიკა! ისე კი, ჩვენ აქ ვეთანხმებით იმ

აზრს, რომ წინა აზია, არა მარტო ამ ფუძე ენების სამშობლოა, არამედ, საერთოდ, თანამედროვე ცივილიზაციის აკვანიც იყო, რაკი თვით ქართველური ტომები — პელაზგები (ძველი ბერძენები), ეტრუსკები (ძველი იტალიელები) და ბასკები (ძველი ესპანელები) აქედან იყვნენ წასულები.

ძველ ქართულში მზეს ერქვა „არგი“, ასევე ბასკურად „არგ“ ნიშნავს მზეს, მთვარის სხივს. როგორც ჩანს, აქედან უნდა იყოს წარმომობილი ბერძნული (პელაზგური) გემის „არგოს“ სახელწოდებაც, რომელიც სიმბოლურად მზის სინათლის სხივივით მსწრაფმავალს ნიშნავს.

ასევე საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის — სამეგრელოს მაცხოვრებლები მეგრულ ენაზე თავიანთ თავს მარგალს უწოდებენ. სიტყვა მარგალიც (მ-არგ-ალი) დაკავშირებულია მზის სხივთან, ნათებასთან. ასე, რომ მეგრელები თავიანთ თავს მზის შვილებს უწოდებენ. (გავისწავლოთ ვირა — კოჩას ეპიზოდი).

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე თვლის, რომ მდინარე არაგვის ძირი „არგ“ ქართული წარმომობისაა და ნიშნავს სწრაფს, სისწრაფეს. აქაც მზის სხივი და სისწრაფე იდენტური ცნებაა. ასევე „არაგვი“ მეგრულ ენაზე ნიშნავს სწრაფ დაჯახებას.

„არაგვი“ — ეს წმინდა ქართული წარმომობის ტოპონიმი, რომლის იდენტური დასახლებებია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზეც, მათ შორის: არაგუარი — მდინარე ახლანდელი ბრაზილიის ტერიტორიაზე, არაგუაია — მდინარე ბრაზილიაში, იქვეა დასახლება არაგუაინა და პროვინცია არაგუაია. არაგუაია დასახლება ვენესუელაში. არაგუაო — შტატია ვენესუელაში. არაგუარი — მდინარე პარანას შენაკადია, იქვეა ქალაქი არაგუარი. პარაგვაი — სახელმწიფო და მდინარე სამხრეთ ამერიკაში. იბერია — დასახლება პერუსში (ყოფილი ინკების ქვეყანა), კოჩა — მდინარე არაგუტინაში, კოჩა — ზამბა — დემარტამენტია ბოლივიაში, იბერია — დასახლება კოსტა — რიკაში, კართაგენი — დასახლება კოლუმბიაში.

ორმოცდაათზე მეტი გეოგრაფიული დასახლებაა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე ისეთი, განსაკუთრებით მდინარეებისა, რომლებიც რიო-თი იწყება. განა საქართველოში არ არის მდინარე რიონი? თუმცა ზოგიერთი მკვლევარი რიონის ნამდვილ სახელად ფაზისს მიიჩნევს, მაგრამ ეს მოსაზრება არ არის სწორი. ფაზისი რიონს ბერძენმა კოლონიზატორებმა შეარქვეს, გაცილებით გვიან, ვიდრე მისი ნამდვილი სახელწოდება რიონი, რომელიც უხსოვარი დროიდან ფიგურირებს. ასევე ხომ ერქვა იბერთა ტომის ბელადს რიო, რომელმაც ძნელებლობის ჟამს ქართველები თან გაიყოლა და ამ მერტად რთულსა და ხანგრძლივ გზას დაადგა.

საერთოდ ცნობილია, რომ ესპანურად რიო მდინარე ჰქვია, მაგრამ ესპანური ენა გაცილებით გვიან არის შექმნილი, ვიდრე უძველესი იბერიული ენა. ამიტომ რიო საუკუნეებით ადრე შევიდა ამერიკის კონტინენტზე იბერების (ბასკების) მეშვეობით, ვიდრე ესპანური ენა.

რიოსთან დაკავშირებით ერთ დეტალსაც შევეხებით. ბორჯაბი, ბერძნულად, ჩრდილოეთის სუსხიან ქარს ნიშნავს. ბორიო კი მეგრულად ქარს ჰქვია. ამ სიტყვაშიც შეინიშნება რიო, ბო-რიო.

რიო, ეს სკან დიდო (მეგრულია) — ნიშნავს რიო, ეს შენ დიდო. კოლორადო (მეგრულია) — ნიშნავს კოლო — მწარეს, რადო — ქვეყანას, მართლაც მწარეა (მწირია) და უსიცოცხლო კოლორადოს ველი იქ გავრცელებული კოლორადოს ხოჭოების წყალობით.

ლიმა — პერუს დედაქალაქი

2 (მეგრულია) — ნიშნავს ნანარდ- ვენელ, დატბორილ ადგილს. აქედან არის წარმოშობილი სიტყვა ლიმანიც, რაც ზღვის მიერ დიდ დატბორილ ადგილს ნიშნავს.

აქვე გვიხსენებენ ბატონ ტურ ჰეიერდალსაც შევასხენოთ, რომ ნახევარკუნძული სკანდინავია, სადაც მისი სამშობლო ნორვეგია მდებარეობს, მისი სახელი მეგრული წარმოშობისაა, სკანიშენი, დი (დია) — დედა, ნავია ე.ი. შენი დედა ნავია.

აქ გვსურს გამოვთქვათ აზრი ტოპონიმ „სკანდინავიის“ შესახებ. როდესაც ჩვენ მისი ახსნა შევეცადეთ მეგრული ენის საშუალებით, ჩვენს სანინააღმდეგოდ წარმოიშვა მოსაზრება, რომ თითქოსდა ტოპონიმ „სკანდინავიას“ მსგავსი რამ არ შეესაბამება, რა შუაშია აქ მეგრული ენით მისი ახსნაო.

საერთოდ, როდესაც სკანდინავიის ნახევარკუნძულზე ვლაპარაკობთ, სახელმწიფოები: ნორვეგია, შვეიცია და ფინეთი არ უნდა ვიგულისხმობთ მის უძველეს სამეფოებად. ეს სახელმწიფოები ჩამოყალიბდნენ და წარმოიშვნენ გაცილებით გვიან, ვიდრე ამ ნახევარკუნძულზე უძველესი ტომები მოვიდოდნენ და მას სკანდინავიას უწოდებდნენ.

გასული საუკუნის ცნობილი გერმანელი მეცნიერი — ინდიანსტი მაქს მიულერი აღნიშნავს, რომ სკანდინავიური კოსმოგონია გაცილებით უფრო ძველია, ვიდრე პროტოინდოეთური ცივილიზაციის პერიოდი. მაგალითისათვის იგი ასახელებს სკანდინავურ

ეპოსს — „ვოლუსპას“, რომელიც გამეორებულია უძველესი კოსმოგონური იდეა სამყაროს განაყოფიერებელი კვერცხის წარმოშობის შესახებ, რაც პროტოინდოეთურ რელიგიაში უფრო გვიან პერიოდში შეიმჩნევა. (გავიხსენოთ ძველი ქართული კულტი „მუტი“ და „ფალოსი“).

ასევე, თანამედროვე იტალიელი მეცნიერი, ამბროჯო დონინი, თავის ნიგში „ქრისტიანობის სათავეებთან“, 161-ე გვერდზე აქვეყნებს გეოგრაფიულ რუკას, რომელზედაც აღნიშნულია რომის იმპერიის საზღვრები ჩვენს ერამდე 30 წლიდან ვიდრე ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნემდე. ამ რუკაზე სკანდინავიის ნახევარკუნძული „სკანდიალ“ მოიხსენიება. როგორც ერთი, ისე მეორე სახელწოდება ერთმანეთის


მიმართ იდენტურია და ძალზე ძველი წარმომავლობისაა. მათ არავითარი საერთო არა აქვთ ფონოლოგიურ ენასთან, რომლის ფონზეც განვითარებულია თანამედროვე ნორვეგიული, შვედური და ფინური ენები. ამ ზემოთ დასახელებულ ენებზე, ტოპონიმ „სკანდინავიას“ არავითარი განმარტება არ მოეძებნება, ეჭვარეშა, რომ ტოპონიმ „სკანდინავია“ თუ „სკანდია“ უძველესი პერიოდის არის შერქმეული ამ ნახევარკუნძულისათვის და მის „ნათლობაში“ იბერებს მიუძღვით ღვანლი.

ჩრდილო კანადაში, ალიასკისა და პუორტოს ყურეს შორის ცხოვრობენ ათაბასკები, რომლებიც სულ არ გვანან იქაურ აბორიგენებს (ესკიმოსებს). იქვეა მდინარე და ტბა ათაბასკი. ეთნოგრა-

ფებმა დაადგინეს, რომ ამ ტომის წარმომადგენლები ენათესავენ ბიან ცენტრალურ ამერიკაში მცხოვრებ ტომებს, რომლებიც ასევე არ გვანან ინდიელ აბორიგენებს. ისინი აპაჩებისა და ნავაჰოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ.

ასეთი მაგალითების დასახელებები მრავლად შეიძლება. სხვათა შორის არა მარტო ამერიკისა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გეოგრაფიულ დასახელებათა გარკვეული ნაწილი (ტოპონიმები) ქართული წარმომავლობისაა, თუმცა ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგანია და მას ჩვენ, ალბათ, ამ წარმომის მეორე ნაწილში განვიხილავთ.

(გაგრძელება იქნება)



ქიარის ხატი — სამწერობელი

რომელმა გიორგი მეფემ შესწირა სამწერობელი ქიარის ეკლესიას. თვით სამწერობელის შექმნის თარიღის შესახებ წინასწარი მოსაზრება გამოთქვა ე. თაყაიშვილმა. მისი ვარაუდით, სამწერობელი, ხელოვნის მიხედვით, XIII-XIV საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი, ხოლო მის წარწერაში მოხსენიებული მეფე გიორგი XIV საუკუნის ამ სახელის მქონე საქართველოს მეფეებს შორის არის საძიებელი. აღნიშნული სამწერობელი, როგორც ხელოვნების ძეგლი, საგანგებოდ შეისწავლა გ. ჩუბინაშვილმა. მისი დასკვნით, ხატი — სამწერობელი მტკიცედ თარიღდება X საუკუნით. გამომდი-

წერილობითი წყაროებით არის ცნობილი (ამჟამად ინახება ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში).

ამის შემდგომ, როგორც ისტორიული წყაროები გვაუწყებენ, ქიარის სამწერობელს სოფელ ობუჯში (ანინდელი ნალენჯის რაიონი) ვხვდებით. ამას ადასტურებს სამეგრელოს სამთავროს ფაქტიური გამგებლის, ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის რეგენტის კაცია ჩიქოვანის მიერ 1681 წ. გაცემული სიგელი და ზეპირსიტყვიერი გადმოცემები ქიარის ხატის შესახებ.

აღნიშნული სიგელის დედანი ინახებოდა ობუჯელი შენგელაიების ოჯახში და თაობიდან თაობა გადაეცემოდა. ასე მიიღო მემკვიდრეობით ის ცნობილი მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ლეო შენგელაიამ (ქიარელმა). მწერლის ნებართვით დასახელებული სიგელი გადაინერა 1921 წელს და გამოაქვეყნა 1925 წელს ისტორიკოსმა ს. კაკაბაძემ.

მოგვაქვს სიგელის ტექსტი: „ჩვენ

ირკვევა შემდეგი; სასამართლომ გამახადი კაკაჩია ამხილა მამაში შერგელაიას ოჯახის გაქურდავში. ნაქურდალის ანაზღაურებას გამახადი კაკაჩიას ქონება ვერ აუვიდა. ამიტომ მისივე თხოვნით და სასამართლოს თანხმობით საზღაურში „ხატის კლიტე“ დათმო. სასამართლომ „ხატის კლიტე“ დაზარალებულ მამაში შერგელაიას გადასცა.

სიგელში არ არის აღნიშნული, თუ რომელი ხატის კლიტეა საუბარი, როგორ მოხდა აღნიშნული კლიტე გამახადი კაკაჩიას ხელში, რომელი სოფლის მკვიდრნი არიან შერგელაია და კაკაჩია. აქ სიტყვა ეკუთვნის ხალხურ გადმოცემას, რომელიც ს. კაკაბაძეს ჩაუწერია სოფელ ობუჯში 1921 წ. ამ გადმოცემის თანახმად, კაკაჩიას გვარის წარმომადგენელს აფხაზეთში მოუპარავს ქიარის ხატი და ობუჯში დაუსვენებია. ამ კაკაჩიას შთამომავალი გაქურდავს შენგელაიას ოჯახის რძლის მზითვეთ, რის გამოც კაკაჩიას ხატი გადაუცია შენგელაიასათვის.

რიაჩი დოსითეოსი წერდა, რომ აფხაზეთმა გააჩანაგეს სამეგრელო. აიკლეს ეკლესიები და მონასტრები: მოქვი, ხოფი, ქიარის, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დოსითეოსიდან აწინდელი სოხუმი ცხენისწყლამდე და რიონამდე. სათარემოდ ქცეული მხარის ეკლესია-მონასტრებიდან ჯვარ-ხატები, საეკლესიო ნიგნები და სხვა სინამდევები შედარებით უსაფრთხო ადგილებში ენგურს გამოლმა გადმოქონდათ.

ამ დროს გადმოიტანეს მარტვილი ვლადკერის ღვთისმშობლის ხატი ვედიდან და სახარება მოქვიდან, ზუგდიდისა და ხობის ეკლესიებში — მოქვის ტაძრის ხატები. სწორედ ამ ტაძრის გადმოწყვა ქიარის სინამდევები ენგურს გამოლმა მდებარე ადგილებში; ქიარის მთავარანგელოზის ხატი, რომელიც 1640 წ. ლევან II დადიანმა შეამოხინა ჭოლაში (ანინდელი ჩხორწყის რაიონი) დაასვენეს, ხოლო ქიარის სამწერობელი ობუჯში. ამის შემდეგ ობუჯში საგანგებოდ ამ ხატი-

ქიარის ხატის ისტორია (ვებრუნდებით დაბეჭდილს)

ქიარის მთავარანგელოზთა ხატი სამეგრელოში სხვა სინამდევებთან ერთად ოდითგანვე გამორჩეული პატივისცემით სარგებლობდა და ილორის, ყულიშკარის, სუჯუნის ხატების გვერდით ძლიერმოქმედი ხატის სახელწოდებით იყო ცნობილი.

სოფელი ქიარის, სადაც მთავარანგელოზთა ხატის სახელობაზე ეკლესია აშენდა, სადაც თვით ხატი ესვენა, წერილობითი წყაროების მიხედვით, ისტორიული სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარეზე — ენგურსა და კოდორს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამას მოწმობს ქიარის მთავარანგელოზის ხატზე 1640 წელს ამოკვეთილი წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ ლევან II დადიანმა მოაქვს ხატი და თვალმარგალიტით შეამკობინა მთავარანგელოზის ხატი და დაასვენა ქიარის მონასტერში. ამავე დროს ქიარის მონასტრის წინამძღვარს დააკისრა ვალდებულება, რომ წელიწადში ორჯერ აღნიშნული ხატი მონასტრიდან კვიტარის სასახლის საჯვარეში გადაესვენებინა. კვიტარის (ანინდელი კუტოლი) მდებარეობს მოქვისწყლის ხეობაში. ქიარის კვიტარში ხატის გადასვენების შესახებ მოხსენიება მათი ტერიტორიის სიახლოვის მაჩვენებელია. მხარის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის შედეგად განისაზღვრა ქიარის უსუსტი ადგილმდებარეობა. დღეისათვის დადგენილია, რომ სოფელი ქიარის მდებარეობდა მოქვისწყლის ხეობაში, ფანავის ქედზე, ანინდელი ოჩამჩირის რაიონის ჯგერდას თემის ტერიტორიაზე. ნასოფლარს ამჟამად აფსუები ქიარ-ნისს, ქიარის სალოცავს ეძახიან.

ამ სოფელში ეკლესიის არსებობის შესახებ უძველესი ცნობა მოგვუპოვებდა თვით ამ ეკლესიის სამწერლობის რაპიდის ასომთავრულ წარწერაში: „სახელითა ღმრთისათია, მე, გიორგი მეფემან დავსხენ ესე სამწერობელი ამას ეკლესიასა ქიარს, სალოცველად სულისა ჩემისათვის“.

წარწერა უთარიღოა, ამიტომ გარკვევით არ ჩანს კონკრეტულად,

წარე იქიდან, რომ ხატი X საუკუნეშია შექმნილი, მისი ქტიტორი მეფე გიორგიც იმავე საუკუნეშია საძიებელი. სოფელი ქიარის, სადაც მეფე გიორგიმ აღნიშნული ხატი მთავარანგელოზთა ეკლესიაში დაასვენა, X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში იყო მოქცეული. ამდენად, ხატის ქტიტორი ეგრის-აფხაზეთის მეფეა. X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის მეფე, რომელსაც გიორგი ერქვა, იყო გიორგი II, რომელიც მეფობდა 922-957 წლებში.

ამრიგად, ქიარის ხატი-სამწერობელი შეიქმნა X საუკუნის პირველ ნახევარში, 922-957 წლებს შორის ქიარის ეკლესიისათვის.

ამის შემდგომ ვიდრე XVII საუკუნემდე ქიარის ეკლესიასა და მისი სინამდევების შესახებ წერილობითი წყაროები დღემდე. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც სამეგრელოში მოღვაწეობდა 1636-1649 წლებში, გვაუწყებს, რომ ძველად ქიარის ეკლესია საუპისკოპოსო საყდარი ყოფილა, ხოლო მისი სამეგრელოში ყოფნის დროს მონასტერი. ქიარში საუპისკოპოსო კათედრის არსებობა ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. გასაკვირი არაა, რომ ძველი ამბების გადმოცემაში ავტორს შეცდომა მოსვლიდა. სულ სხვაა მისი, როგორც თვითმხილვის მონათხრობი თავისი ეპოქის ფაქტების შესახებ. არქ. ლამბერტის სამეგრელოში მოღვაწეობის დროს ქიარის ეკლესია მართლაც სამონასტრო სახანე იყო. ამას მოწმობს ლევან II დადიანის ბრძანებით 1640 წ. ხატზე ამოკვეთილი ზემოთ აღნიშნული წარწერა, სადაც იხსენიება „ქიარის წინამძღვარი“.

1640 წ. ლევან II დადიანმა ქიარის მონასტრისათვის მოაჭედვინა და თვალ-მარგალიტით შეამკობინა მთავარანგელოზის ხატი. ეს ქიარის ეკლესიის მეორე ხატი, რომელიც

სახელოვნად აღმატებულმან ჩიქუნამ ბატონმა კაციამ გადაბჭვეთ მამაში შერგელაია და გამახადი კაკაჩია და ჩვენთან თვითონ ბატონიშვილი და საუსტანი შერგელაი და მურზაყანი ამჩანაძე დაავსნარი, საჩივარს უყურეთ, უსამართლობით და გარდადგომით არა გაგვიჩინათ რა. მამაშის თეთრი კაკაჩიას ბუერი დაედუა თავს: ოთხი კარგი ვერცხლის თასები, ექვსი ოქროს ბეჭედი, ერთი მარგალიტის საყბოური, ორი ტყავი, სამი დარეის საგულე, ოთხი კაბა, სამი პერანგი, ერთი ზარბაზის სარტყელი, ერთი ქათიბი, ერთი ტყავკაბა, სამი ყორული, ორი კე-მუხისი მაშა, ორი ფოსთალი, ოთხი ჯორაბი, ორი თავსაკარი მუშაიშისა, ოთხი ლაჩაქი, ათი ვერცხლის ქინძისთავი, სუფრა, ტაშტი და წურწურა. ამას გარეთ ვერცხლის მოჭედელი თვლიანი კოლოფი, ორი კაკლის ნაღბეჭი, ექვსი თეთრი საინი, ერთი თეთრი ხალიჩა, ერთი საბანი და ერთი ქუთი, ერთი სადაფის სარკე, ამას გარეთ ერთი მატყლის ფართალი, თავს კარგი ქაშხა, ოცი ლაინი, ერთი ხანჯარი, ერთი კარგი მშვილდი, ერთი სახთანის, სამი ასლანი ვერცხლი, ესენი ყველა კაკაჩია გამახადის დაატყდა. გავსინჯეთ, მაგრამ გარდასახადი ვერა იმოვა რა. მისი შვილი გაუზი, ორი სასახლე ადგილი მევაღესათვის მიეცა, სხვა ვერაფერი გადასახადი. ამასობაში შემოგვეხვენა კაკაჩია და ამის გარდასახადთ ხატის კლიტე არჩივი დაგვანება. ეს კლიტე გამახადის არ არი, მამაში შერგელაიასათვის მიგვიცემია. სხვა შერგელაიას ამაშიდ არა ურევია რა. მამაშის და მის შვილებს ასე მკვიდრად ქონდეს. ვინც ეს მოშალის და წაართვას, მას მეორედ მოსვლა ჩვენც ცოდვის მუქაფი ქრისტეს მუფის ნინამე ისიმც გაიკითხვის. ამის მონამე მდივანი ქაიხოსრო არის და ეს ნიგნი მე დამინერია.“

მოტანილი დამინერის მონაცემებით

ხალხური გადმოცემა და 1681 წლის სიგელი ავსებენ ერთმანეთს. მათი მონაცემების შეჯერების შედეგად ირკვევა შემდეგი: სიგელში დასახელებული გამახადი კაკაჩია და მამაში შერგელაია ობუჯის მკვიდრნი არიან; სიგელში ნახსენები ხატი, იგივე ქიარის ხატი, რომლის ადგილსამყოფელი სოფელი ობუჯია; კაკაჩიას გვარის წარმომადგენელს ქიარის ხატი ობუჯში ენგურს გადმოაქვს — აფხაზეთიდან მოუტანია 1681 წელზე ადრე. ამ წელს ქიარის ხატი უკვე ობუჯშია. ხატის ადგილსამყოფლის შეცვლა აიხსნება მისი პირვანდელი, მშობლიური ტაძრის გაუქმებით. როგორც ზემოთხსენებულ, 1640 წ. ქიარის ეკლესია მოქმედი იყო, რაც იმასაც გულისხმობს, რომ მისი სინამდევები, მათ შორის, სამწერობელი, იქვე ესვენა, 1681 წ. ის უკვე ობუჯშია. ამ პერიოდში, დაახლოებით 40 წლის ფარგლებში ქიარის სამწერობელი მოქვისწყლის ხეობის სოფელ ქიარის ობუჯში იქნა გადასვენებული. რამ გამოიწვია ხატის ადგილსამყოფლის შეცვლა?

დროის აღნიშნული მონაცემით სამეგრელოს სამთავროს ისტორიაში ძნელბედობის ხანაა. ამ პერიოდში (XVII ს. 70-იანი წლებში) აფხაზეთა ცალკეული საფეოდალოები შერვაშიძეების მეთაურობით და მათი მოკავშირე ჩრდილო-კავკასიური ადიღური თემები სარგებლობენ რა სამეგრელოს სამთავროში შექმნილი შიდაპოლიტიკური არეულობით, განუწყვეტლივ ლაშქრავენ სამეგრელოს ტერიტორიას მდ. კოდორის აღმოსავლეთით. განსაკუთრებული რისხვა დაატყდა თავს სამეგრელოს მოსახლეობას კოდორსა და ლალიდგას შუა. მოსახლეობის აწიოკებას, დატყვევებას, აყრა-გასახლებას თან სდევდა ეკლესია-მონასტრების ძარცვა-რბევა. ამ პერიოდში სამეგრელოში მყოფი იერუსალიმის პატ-

სათვის ააშენეს ხის ეკლესია, რომელსაც ქიარის ეკლესია დარქვა. ასე გადმოწყვა ხატს იმ სოფლის სახელწოდება, სადაც მისი მშობლიური ეკლესია იდგა, თავის ახალსამკვიდროში, ობუჯში, ამიერიდან ქიარის ხატი და ობუჯი განუყრელი ერთობა გახდა.

ზემოთ მოტანილ სიგელში მოხსენიებულ კაკაჩიას გვარის წარმომადგენელს, სამწერობელს, მისი სახელი უცნობია, ამ ძნელბედობის ფაშს ქიარის ხატის სამწერობელი საფრთხისაგან განუყოფილება და საიმედო ადგილას დაუბინავებია. ცხადია, კაკაჩია ამას მალულად, მოთარეშთაგან შეუმჩნევლად თუ შეძლებდა. ამიტომ ზემოთ გადმოცემის ცნობა ხატის აფხაზეთიდან „მოპარვის“ შესახებ უნდა გავიგოთ, როგორც ხატის წამოსვენება მოთარეშებისაგან შეუმჩნევლად. მან ხატი მოპარა ეკლესიის შემწესურებლებს და არა ეკლესიას. ამიტომაც ობუჯელი კაკაჩიები სამართლიანად ამაცობენ თავიანთი შორეული წინამრებები, რომელმაც ეს ღვთის სათნო საქმე უანგაროდ ჩაიდინა.

ქიარის ხატ-სამწერობელი ობუჯში, ახალაშენებულ ეკლესიაში დაუსვენებიათ, ხოლო მისი კლიტე, იგულისხმება სამწერლობის სასახელების გასაღები, კაკაჩიას გვარის წარმომადგენლებს ებარა.

ცნობილია, რომ ხატის კლიტის მცველობა ძალზე პრესტიჟული და შემოსავლიანი საქმე იყო. ეკლესიის შემოსავლიდან ხატის კლიტის მცველი განსაზღვრულ წილს ღებულობდა. სწორედ ამიტომ ჩაითვალა გამახადი კაკაჩიასათვის დაკისრებული საკმაოდ დიდი საზღაურის ტოლფასად ხატის კლიტის არჩივის ანუ ეკლესიის შემოსავლიდან მისი კუთვნილი წილის მამაში შერგელაიასათვის გადაცემა.

1681 წლიდან 1923 წლამდე, ობუჯის ეკლესიის დახურვამდე ქიარის

3 ხატის კლიტე მამამი შერგელაიას და მის პირდაპირ შთამომავლებს ებარათ.

ქიანის ხატის შესახებ ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში XIX ს-ში შემოდის მიმოქცევაში. ამ დროისათვის აღნიშნული ხატი სოფ. ობუჯის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში ესვენა. აქ უჩვენებენ მის ადგილ-სამყოფელს აკადემიკოსი მარი ბროსე (1847 წ.) და ე. თაყაიშვილი (1913 წ.). თუ როგორ და როდის მოხდა აღნიშნული სინამდვილე ქიანის ობუჯში, ამის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. აქ კი კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტოთ, ქიანის ხატის იდენტიფიკაციის საკითხი. ქიანის ეკლესიაში, როგორც ითქვა, მთავარანგელოზების ორი ხატი ესვენა, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს. უეჭველია, რომ ქიანის ტაძარში სხვა წმინდანთა ხატებიც იყო. ამ სინამდვილესთან ხალხში სახელწოდება „ქიანის ხატი“ კონკრეტულად მხოლოდ ერთმა მათგანმა, სახელდობრ, სამწერობელმა და იმკვიდრა. ხალხის წარმოდგენაში „ქიანის ხატი“ სწორედ ამ სამწერლობელთან იქნა გაიგივებული, რომელიც ქიანის ობუჯში გადმოასვენა კაკაჩიამ. ამას მოწმობს მ. ბროსეს მითითება, რომ ობუჯი არის სამწერლობის ადგილსამყოფელი. ამასვე ადასტურებს სიძვე-

ლეთა შესასწავლად სამეგრელოში მოგზაურობის დროს (1910-1911 წ.) ე. თაყაიშვილის მიერ აღწერილი ერთი შემთხვევა: „...როცა ჩვენ მივედით ნალენჯიხას, იმუამად იქ მყოფმა ადგილობრივმა გამომძიებელმა გვაუწყა, რომ მომრიგებელ მოსამართლესთან მოწმეების დასაფიცებლად მოსვენებულია სოფელ ობუჯიდან ძველი ხატი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს სამეგრელოში. ეს ძლიერ ხატად არის მიჩნეული და საყურადღებო საქმეების გარჩევის დროს მოწმეებს აფიცებენო. ხატის გასინჯვამ დაგვარწმუნა, რომ იგი ვერცხლისაა, ნაჭედი, ოქროთი დაფერილი, არის ლამაზი ხელობისა.“

ს. მაკალათია აღნიშნავს, რომ ქიანის მიქელ-გაბრიელის ხატი თავისი სიძლიერით ცნობილია ნალენჯიხის რაიონში. ეს ხატი დასვენებული იყო სოფელ ობუჯში და მასზე აფიცებდნენ ქურდებს, ავაზაკებს და მოწმეებს. ხატი წარმოადგენდა ვერცხლის სამწერობელს ოქროთი დაფერილს. მასზე, სხვათა შორის, გამოსახული იყო წმინდა მიქაელი და წმინდა გაბრიელი. ობუჯის ქიანის ხატი ეკუთვნოდა შენგელაიას გვარს და მნათებსაც ამ გვარიდან ირჩევდნენ.

შენგელაია (შენგელაია) სამეგრელოს ძირძველი აზნაურული გვარია. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი

წერილობით წყაროებში პირველად XVI ს-ში იხსენიება. მხედველობაში მაქვს, შერგელაძეთა სასახლო სიგელი, რომელიც გაცემულია იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მიერ 1554 წელს. სიგელში მეფე აღნიშნავს: „მოვიდეს წინაშე ჩვენსა ჩვენნი დიდად ერთგული და ნამსახური თავსდებით აზნაურისშვილი შერგელაძენი ჯაკვა და მათნი შვილნი მათე და მომავლნი მათი ყოველნივე და სახლისშვილნი, რათამცა დაგვეჯიჯნეს და ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი, შვიწყალეთ და უბოძეთ სასახლო სიგელი ესე.“ მეფის განაჩენის დამამტკიცებელეთა შორის დასახელებულია მეფის მანდატურთუხუცესი და ოდიშის ერისთავი ლევან I დადიანი.

ჯაკვა შერგელაძე, როგორც ვხედავთ, მეფის აზნაური ყოფილა (აზნაურები ჰყავდა, აგრეთვე, თავადსა და ეკლესიას). სასახლო სიგელი გაცემულია ოდიშის სამთავროს, როგორც პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბების კვირა-ძალში. სიგელის გაცემის დროს ოდიში იურიდიულად ჯერ კიდევ იმერეთის სამეფოში შემავალი ტერიტორიულადმინისტრაციული ერთეული ანუ საერისთავოა, რომელზეც იმერეთის მეფის ხელისუფლების უზენაესობა, მართალია, ფორმალურად, მაგრამ ჯერ კიდევ ვრცელდებოდა, სადაც მეფეს ჯერ კიდევ ჰყავდა

თავისი ქვეშევრდომი აზნაურები, მათ შორის, ჯაკვა შერგელაძე. აღნიშნული სიგელის გაცემიდან ორი-ოდე წელიწადში, 1556 წელს ოდიშის საერისთავოს ტერიტორიულადმინისტრაციული ერთეულიდან პოლიტიკურ ერთეულად ტრანსფორმაციის ხანგრძლივი პროცესის დასასრული იურიდიულად გამოვლინდა, რაც გამოიხატა ოდიშის ერისთავის ხელმწიფედ კურთხევაში. ამერიიდან შერგელაძეები, ისე როგორც ოდიშის სხვა სამეფო აზნაურები, ხელმწიფე დადიანების აზნაურებად იქცნენ.

გვარსახელი შერგელაძე, როგორც ქართული გვარების უმეტესობა, ნაწარმოებია საკუთარი სახელიდან შერგელი // შერგელა. სამეგრელოსა და აფხაზეთში, როგორც მთელს საქართველოში, თავდაზნაურთა გვარები ძე ბოლოსართით ფორმდებოდა (მაგალითისათვის, აფაქია — აფაქიძე, თოფურია — თოფურიძე, უვანია — უვანიძე, გომუა — გომოძე, დგებია — დგებუაძე და ა.შ.). გვარსახელი შერგელაძე ზეპირ მეტყველებაში გამოითქმოდა შერგელაიად. სწორედ ეს ფორმა დასტურდება ზემოთ მოტანილ 1681 წლის სიგელში. XIX საუკუნეში შერგელიამ მიიღო შენგელაიას ფორმა.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ: ქიანის


ხატის სახელწოდებით ცნობილი სამწერობელი შეიქმნა 922-957 წლებს შორის ეგრის-აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის დაკვეთით და დაასვენეს სოფელ ქიანის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიაში. სოფელი ქიანის მდებარეობდა მოქვისწყლის სათავეებთან, ფანავის ქედზე (ანინდელი ოჩამჩირის რაიონის ჯგერდას თემის ტერიტორიაზე).

XVII საუკუნის 70-იან წლებში აღნიშნული ხატი-სამწერობელი კაკაჩიას გვარის წარმომადგენელმა ქიანის ეკლესიიდან ობუჯში გადმოასვენა. ამ დროიდან ობუჯის ეკლესიას, სადაც სამწერობელი იქნა დასვენებული, ქიანის ეკლესია ეწოდა. ობუჯში ქიანის ხატის კლიტის გასაღების მცველები თავდაპირველად კაკაჩიას გვარის წარმომადგენლები იყვნენ.

1681 წელს სამეგრელოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ქიანის ხატის კლიტე ჩამოერთვა გამახადი კაკაჩიას და გადაეცა აზნაურ მამამი შერგელაიას. ამ დროიდან მოყოლებული, ხატის მცველები იყვნენ — მამამი შერგელაიას შთამომავლები.

ქიანის ხატი-სამწერობელი 1923 წლიდან ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმშია.

გონელი არახამია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



დანიელ ზიფია (გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოვოზურია“ № 18, 19, 22, 23).

მებრულ-ქართული სალექსიკონო მასალები

ი
 იბკორინე — ვიმყოფინე
 იმდლანო (ვარდას) — ის (არ იყოს)
 იმპუ —
 ინა — ის
 ინგარი — ის კი არა
 ინი — ძირს
 ინოკიკინი — დაჩემებული ყურება
 ინორიფინი — დაშტერება
 ინოყოთამა — ჩაგდება
 ინოყუნაფა — ჩაყვანა
 ინწრა — ვინრო
 ინჭა — ჭა
 იოლი — ადგილი
 ირდისას — ყველგან, ყველა მიწაზე
 ირი — ყოველი
 ირიათო — სულ
 ირო — მარადის
 იროიანი — სამარადისო
 ირო რინა — მუდამ ყოფნა
 იროშოთ — სამარადისოდ
 ირფელი — ყველაფერი
 ისთაფულა — უარი
 ისინდი — ისარი
 იშენი — მაინც
 იშენიშენი — მაინცდამაინც

კ
 კაბეტი — დიდი
 კაბრა — ყდა
 კაზლა — ძველი მარილიანი გადაუქნელი ყველი
 კათა — კაცები
 კათაფა — შერევა
 კათუა — კრება, იხ. შაყარუა
 კაკა — ახალუხის შესაბნევი ღილი
 კაკაბი — იხ. წკონდა
 კაკალევა — საუზმობა
 კაკილარი — ეკალი
 კაკუა — ნაყვა
 კაკუტო — ხის ურო
 კალამია — ღერო (შიბაქი)
 კალი — კენჭი
 კალიში ყოთამა — კენჭისყრა
 კანდიორი — ამაყი
 კანკალე — ზოგიერთი
 კანკალემა — ხანდახან

კანჭი — ბოლო
 კაპისონი — ვაზის ჯიში
 კაპუნობა — სალოცავი დიდი
 კაპუტი — მაგარი
 კაჟი — ბაჟი (ნისქვილში)
 კარაკანო — პირდაპირ
 კარაჩხა — კალათა
 კარბუზი — ურდული
 კარკაზუა — დახვევა
 კარკაცი — ხმამაღალი სიცილი
 კასუა — ტკეპნა, გატენა
 კატუჯვარი — დურბელა
 კალუ — კავი
 კაშუა — ხენეშა
 კანხუ — იხ. ჩაყვა
 კანაბი — ლეკვი
 კაჭა — გარჩეული ნიგოზი, კაკალი
 კაჭაბე —
 კაჭალე — ნვივი
 კახმა — მემრუშე
 კეკინი — იხ. კილოთა
 კეკუა — გაპენტვა
 კერი — ტახი
 კერკელაფა — გორაობა
 კერკელი — გორაობა
 კერკუცი —
 კეში — ნეზვი
 კვათირი — მჭრელი
 კვათუა — ჭრა
 კვაკვეუ — პატარა რამ წევს
 კვანნილი — საგანგებოდ გაკეთებული, მოხდენილი
 კვარზალი — საშველი
 კვარკვალა — მრგვალი
 კვარტი — ნიხლი
 კვარჩხანი — მარცხენა
 კვარჩხი — უკულმართი
 კვარნახი — ტყემლის წვენი
 კვატა — იხვი
 კვალა — პატარა ნაჯახი
 კვაჭილი — ჩახლართული
 კვეკვა — ხის ჩაქუჩი
 კველა — დაბალი გრძელი სკამი
 კვერი — ჩაქუჩი
 კვეტა —
 კვეტე — წვრილი
 კვიკვილი — პატარა სიმრგვალე
 კვინჭიხე — გავა
 კვინინი — მუნუკი
 კიდაჭი — ბაღლინჯო
 კიდე — კოდალა
 კითი — თითი
 კვ — რკო
 კიფი — კანაფი
 კიკიბე — მხარი
 კიკილი — ჩრჩილი
 კილა — კლიტე
 კილარღვაფა — გაყრა, გარჭობა
 კილერი — დაკეტილი
 კილი (ჭანურად კლიმა) — ცოდვა, ნაკლი
 კილი — კონა
 კილიშკილიშა — დანვრილებით
 კილიმონთუქი — ურდული
 კილოთი — მოუსვენრობა
 კილუა — დაკეტვა
 კინდლი — სალი კლდე, ციცაბო

კინკორა — თხისა და ცხვრის განავალი
 კინი — ისევე, ხელახლა
 კინი — უკან
 კინჩხი — კისერი
 კინოკინა — დანევა, უკან დახევა
 კიროკილი — ხუჭუჭა
 კირდ — კიდი, დამოკიდებული
 კირზა — პატარა ჯოხი ღომის მოსარევად
 კირუკარუ — ლოცვაა ძველი
 კირციხი — სეტყვა
 კისერე — ყველჭრევა
 (კიჭუა) — კიჩუა — კეცვა
 კინონია — აკიდო
 კიჭიბე — მაგარი
 კობუ — მკვახე
 კოდმე — წყლის კალაპოტი
 კოთაკონკა — მწვერვალთ მწვერვალი
 კოკი — კუნძული
 კოკობინი — წურწურით დენა
 კოკუმი — ინდაური
 კოლო — მწარე
 კოლომია — ხე ერთნაირი
 კომეხი — იხ. კონწარი
 კონკა — მწვერვალი
 კონწარი — მკაცრი
 კონჭი —
 კოპეშია — კვახი
 კორინი — ნდომა
 კორკოტი — ფორჩი
 კორკოცე — ყივანახველა
 კორობა — (ფერი)
 კორობუა — შეკრება
 კოროცხუა — თვლა
 კოტო — თევზის ბუნაგი, ქოთანნი
 კოჩი — კაცი
 კოჭობი — თუნუქის პატარა ღია ჭურჭელი
 კოჭოჭი — ქოჩორი
 კობა —
 კობი — ქაროშხალი
 კუბაკი — უნესო
 კუდელი — კუდი
 კუზაზამანა —
 კუმა — კვამლი
 კუმაფა — კმევა
 კუნტა — მოკლე
 კუნჩხუა — კვლევა, მეკვლეობა
 კუნჭული — მწვერვალი
 კურთა — ნიფხავი
 კურკული — გიდლის ძირი
 კურცხე — მღვიძარე
 კუჩხი — ფეხი
 კუჭუა — დაცობა


ლ
 ლაბანი — სანამლავი, შხამი
 ლაბარსუა — გაბრტყელება
 ლაბარტყია — თხელი (ფიცარი)
 ლაბაზა — კვერთხი
 ლაბინკი — ფრინველის მხრის ძვალი
 ლაგვანი — ქვევრი
 ლაგუჯი — ხალთა
 ლადირი — ნედლი
 ლაზუტო —
 ლაიტი — სიმინდი
 ლაკადა — მთიანი მხარე
 ლაკარტი — სანახვლეტი ისარი

ლაკარტუა — ჩხვლეტა
 ლაკვატა —
 ლალა — ზარმაცი
 ლალუა — ნაშლა
 ლამბარუა — გატყავება
 ლამება — დალობა, განზრახვა
 ლანდარი — ხაზი (ლინეიკა)
 ლანდი — აჩრდილი
 ლანდაუ — თვალის შესწრება
 ლანდლუა — ამღვრევა
 ლანთირია — გამოუსადეგარი, ზოზინა
 ლანჯერი — მალალი ბალახი
 ლარტყა —
 ლარტყემი — ლერწამი
 ლარჯგალი — უზრდელური ლაპარაკი
 ლასარი — მაგარი
 ლასირუა — გალესვა
 ლაფა — სროლა
 ლაფარა — ლაფარო
 ლაფართია — ფართო
 ლაფში (ლერწკვი) — ტუჩი
 ლალა — სწორი
 ლაჟაფი — თამაში
 ლაშქუა — ომიანობა
 ლანკარი — სტრიქონი
 ლახარა — ავადმყოფობა
 ლახუტი — პატარა ქვევრი
 ლეხი — საღებავი სილა
 ლეკი — შლამი
 ლეკური — ხმალი
 ლენდლვა — მღვრიე
 ლენჩი — რეგვინი
 ლეპი — დორბლი
 ლეტა — ტალახი
 ლეტეში — ტალახიანი ადგილი
 ლექინი — მსუბუქი
 ლექინას — მსუბუქად
 ლექყვა — ნერწყვი
 ლეხი — ავადმყოფი, სნეული
 ლეხუანი — ავადმყოფი, სნეული
 ლია — გათავება
 ლიბუ — რბილი
 ლიგვალი — იხ. ბორო
 ლიება — გათავება
 ლიკვი — მუშტი
 ლილუ — ჩვილი
 ლინჩქი — აპკი
 ლინჯი — სპილენძი
 ლირჯგონუა — უწოდე ჭამა
 ლილალი — გრძელი
 ლიყვი — ფითრი
 ლიში — ნემსი
 ლოგობუა — დაფარება
 ლონტყაფი — ტალახში გორაობა
 ლოჟო — უჭკუო
 ლუბა — უბე
 ლუგა — იხ. ბორო
 ლუპუნტი —
 ლურენჯი — მძინარე
 ლური — ძილი
 ლურნემი — დიდი, უმეცლებელი
 ლურნუა — დარტყმა
 ლერე — ლერძი
 ლემა — ბრძოლა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული მოქრობის აღმავლობა და დამოუკიდებლობის აქტის მიღება

ნიგინიდან: ედემ კვიციანი „პროკლამაციებიდან დამოუკიდებლობის აქტამდე“



ეროვნული - განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავალი პერიოდი 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება და ეს აღმავლობა უპირველესად, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან არის დაკავშირებული. მათ მიერ ჰელსინკის ჯგუფის (პირველი არასამთავრობო ლეგალური ორგანიზაცია) შექმნამ, მათმა თვითგამოცემებმა („ოქროს სანძისი“, „საქართველოს მოამბე“), შეუპოვარმა, მიზანმიმართულმა მოქმედებებმა შეძლო ეროვნული ცნობიერებისა და ღირსების გამოღვივება-აღორძინება და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად ეროვნული ძალებისა და მთელი ერის დაზარალება.

ბალიას და ვალტერ შურლიას. 1990 წლის 14 ნოემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სხდომა. სხდომათა დარბაზში სხვა დეპუტატთა შორის ისხდნენ ზაურ ქობალია და ვალტერ შურლია...

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომაში მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამ აქტს სხვებთან ერთად ხელს აწერენ ზაურ ქობალია და ვალტერ შურლია...

მიზანი, რომელიც მათ დაისახეს ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში, ასრულდა. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა...

მოვუსმინოთ ვალტერ შურლიასა და ზაურ ქობალიას, თურას განცხადებებს ისინი, როცა პირველ პროკლამაციებს ავრცელებდნენ, დამოუკიდებლობის აქტს ხელს აწერდნენ:

ვალტერ შურლია: „ჩვენი მოქმედება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აგორების ცდა იყო.“

ამ აქციას დიდი ხნის განმავლობაში ვგეგმავდით. გვსურდა დიდი რეზონანსის და ხმაურის გამოწვევა. პროკლამაციები უნდა გავრცელებულიყო ერთ და იგივე დროს. დღე და საათიც იყო დადგენილი.

მართლაც ასე მოხდა. ანტისაბჭოთა ფურცლები საქართველოს დამოუკიდებლობის მოწოდებით გავრცელდა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და ფოთში. სენაკში აქცია არ იყო დაგეგმილი, მაგრამ ჩვენი ორგანიზაციის წევრს რუსლან ქირიას დაეხანა ზუგდიდში დარჩენილი ფურცლების დაკარგვა და დამოუკიდებელი გადანაცვლებით სენაკში გაავრცელა ისინი. რასაკვირველია, ეს დისციპლინის დარღვევა იყო, მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს, რომ რუსლანი თექვსმეტი წლის იყო მაშინ და პატრიოტიზმისგან გამომწვეულმა ენთუზიზმმა იძალა მის პიროვნებაში.

როგორც მერე შევხატყვეთ, გენერალი ინაური კინალამ გააგიჟა ამ აქციამ. ზედღებულად წამოვიდა ზარები ყველა ზემოთხსენებული ქალაქიდან. მართლა შეიქმნა შთაბეჭდილება დიდი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის არსებობის შესახებ.

დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, როცა დაგვაპატიმრეს, ინაური არაფრით იფურცებდა, რომ ჩვენ სერიოზული ხელმძღვანელობა არ გვყავდა. „აბა ეს საზიზრობა ბავშვებმა როგორ მოიფიქრეს“, ღრიალებდა იგი. ღმერთმა ხომ იცის, ჩვენი ლიდერი ბუჭა სანაია იყო და მეტი არაფერი.

მაგრამ დაუბრუნდეთ პროკლამაციების გავრცელების ამბავს. მე და ალვერ იზორიას ნილად გვხვდა ფოთში წასვლა. ალვერ იზორიას ახლა პირველად ვახსენებ.

უნდა ითქვას: ჩვენს ორგანიზაციაში 18-20 კაცი ირიცხებოდა. მათგან ექვსმა მოიხანა დასავლელი დანარჩენების დაფარვა და გადარჩენა შეეძლო. მათ რიცხვში იყო ჩემი მეგობარი და კლასელი ალვერ იზორია.

...მაშ ასე! ჩავედით ფოთში. ვნახეთ ჩეხური ფილმი „შიფრის საიდუმლო“, რომელსაც მასურებელი, უბრალოდ, აწყდებოდა. გავი-

გეთ რა მომენტში მთავრდებოდა ფილმი და ინთებოდა შუქი. შემდეგი სენის იწყებოდა საღამოს ექვს საათზე და მთავრდებოდა მაშინ, როცა მთელ საქართველოში ჩვენი პროკლამაციები უნდა გავრცელებულიყო.

ალვერმა მთხოვა, ფურცლებს მე გადავყრიო, გამიჭირდა, მაგრამ დავეუთმე. სიტუაცია ზუსტად „საჩვენო“ იყო. დარბაზს გააჩნდა სანახევროდ ფარდით დაფარული აივანი (ლოჯა), სადაც აგრეთვე, ხალხი იჯდა. ჩვენ ფარდის უკან ვიდექით. ჩვენს ქვემოთ თითქოს ხელისუფლებზე იდო პარტიერი.

გული გასკდომაზე გვეკონდა. მაშინ ჩვენ არც სიტყვა — ადრენალინი — ვიცოდით და, ბუნებრივია არც მისი მნიშვნელობა, მაგრამ სისხლი რომ საფეთქელზე გვანვებოდა და გამოხეთქვას ლამობდა, ფაქტია.

ახლანდელი გადასახედიდან დანამდვილებით შემძლია ვთქვა, რომ აქ არ იყო შიშის ნატამალიც კი. იყო სხვა რამ: მოლოდინი დიდი, უზარმაზარი რეაქციისა, დაახლოებით ისეთი, ყუმბარის აფეთქებას რომ მოჰყვებოდა ხოლმერას იზამ, თექვსმეტი წლისანი ვიყავით.

შუქის ანთება და პროკლამაციების გადაყრა ერთი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ის სურათი. შიშინაფის ფილმით გაუღებთოლ ხალხს ფარფატით ეცემა თავზე პატარ-პატარა ფურცლების დიდი მასა, თითო კაცზე ათი ცალი მაინც. გაოგნებული ხალხი იჭერს ამ ფურცლებს და კითხულობს!..

მე და ალვერი კანკალატანილები ვდგავართ ფარდის უკან, ველოდებით რაღაც დიდ, ფანტასტიკურ მოვლენას.

არა! სიჩუმე სამარისებული, რეაქცია — ნული.

და უცებ, ამ სიჩუმეში გაისმა ვიღაც ენაკვიმატის ხმამალალი შეძახილი: ბიჭოო, ჟორდანია ამდგარაა!

და ატყდა ხარხარი. ხარხარებდა მთელი დარბაზი, დასცინოდნენ ალვერს, დამცინოდნენ მე, დასცინოდნენ ფიქრს თავისუფლებზე.

მე ვიდექი შეურაცხყოფილი, თითქოს ვიღაცამ სახეში შემომავფურთხაო და ვტიროდი!

შესაძლებელია, დარბაზში იყვნენ ისეთებიც, ვისაც ფურცლების შინაარსი გულზე მოხვდა. შესაძლოა, ისინი ემოციის დასაფარავად აპყვნენ სხვებს, მაგრამ ეს დამშვების სფეროა, მე კი ფაქტებს ვყვები.

...დარბაზიდან არავინ გადიოდა. ახლა უკვე ხუმრობდნენ, შაყრობდნენ. ასე გრძელდებოდა 12, მაქსიმუმ 15 წუთი.

უეცრად „მე-8 პოლიკის“ ავტომატიანი ჯარისკაცები შემოვივიდნენ დარბაზში, დიკავეს ყველა გასასვლელი, უხეშად ჩხრეკდნენ ხალხს, ართმევდნენ პროკლამაციებს, ურტყამდნენ მკერდში ავტომატის კონდახს.

რაღაც ორიოდე წუთის წინ მობარხარე ხალხი შემინდა და დაიზაფრა. ისინი მიხვდნენ, რომ რაღაც დიდი მოვლენის ეპიცენტრში მოხვდნენ.

მე კი სულ ცოდილო, სიამაყის გრძობა დამეფულა, — უცნაური, შურისძიებასთან ახლოს მდგომი.

იდგა იანვარი 1961 წლისა. ამ ამბის მოყოლას აზრი აქვს თუნდაც იმიტომ, რომ შთამომავლობამ იცოდეს გასული საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს მოსახლეობის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა.

იმ დროისათვის კომუნისტების ოპოზიცია სრულიად განადგურებული გახლდათ. თუკი ვინმე იყო დარჩენილი ცოცხლად, შვილებს უმალავდა თავის წარსულს. აქა-იქ შემორჩენილ ეკლესიებში შესვლა ცუდ ტონად და ჩამორჩენილობად ითვლებოდა. დედები ჩუმ-ჩუმად უღებავდნენ შვილებს სააღდგომო კვერცხებს. ვერც ერთ ბიბლიოთეკაში ვერ აღმოაჩენდით სიმართლეს 1918-21 წლების საქართველოზე. ცოცხლად გადარჩენილი ლევან გოთუას მსგავსი პროტესტანტები ციმბირში იხდიდნენ 18-20 წლიან სასჯელს.

ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მოქმედება (ორივე ორგანიზაციის ვგულსიმობ) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სრულიად ახალი ტალღის აგორების ცდა იყო, სამნუსხაროდ, მხოლოდ — ცდა, რადგან ჩვენ ყველაფერი გააკეთა ამ ცდის მისაჩქმლად, რასაც ადამიანებში დასადაგურებული შიში უწყობდა ხელს.

ერთ მაგალითს მოვიყვან: საპყრობილედან გათავისუფლებულ ბუჭა სანაიას ბავშვობის მეგობარი შეხვდა ზუგდიდში. სიხარულით გამოექანა ბუჭასკენ. უცებ, სად იყო სად არა (ბედის ირონია), ადგილობრივი კაცებს უფროსი გული ზაქარაია გამოჩნდა. გაშეშდა ბუჭას მეგობარი, შემდეგ გაიორკვა და სხვა მიმართულებით გაიქცა.

მე არც საყვედურს ვამბობ და არც განვიკითხავ ვინმეს. უბრალოდ, დრო იყო ისეთი.

ორი ათეული წლის შემდეგ ვითარება შეცვლილი იყო, მაგრამ ზვიადისა და მერაბის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ერის სულიერი გამოღვივება. ამ ტანდემმა შეძლო ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით. სწორედ ესაა განსხვავება ჩვენს შორის. სწორედ ამიტომ მივედით ჩვენ ზვიადთან და მერაბთან. პატარა მდინარე დიდ მდინარეში ჩაედინება. ეს გარდაუვალია.

იყო, ალბათ, კოსმიური სამართლიანობა იმაში, რომ ზუგდიდის ორი ეროვნული ორგანიზაციიდან თითო კაცი მოხვდა უზენაეს საბჭოში. დამოუკიდებლობის აქტზე ჩვენი ხელმოწერა ეკუთვნის ამ ორი ორგანიზაციის თითოეულ წევრს.

საოცარი იყო დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის ცერემონიალი, მაგრამ მე არაფერი მახსოვს გარდა სახელმწიფო ღერებისა, დროშისა და დეპუტატების გრძელი რიგისა.

როგორც იქნა ჩემი რიგიც მოვიდა. ჩემზე წინ ზაურ ქობალიამ მოაწერა ხელი. დაიროქა და პირველი გადაიწერა (როგორც მახსოვს, ეს იყო პირველი დარჩება იმ პროცედურის განმავლობაში), მეც იგივე გავიმეორე, გულში კი ვყვიროდი, ბუჭა სანაია, ძმაო, ხედავ, რა ხდება?!

ბუჭა სანაია კი, ჩემი მასწავლებელი ეროვნულ მოძრაობაში, იჯდა ტელევიზორთან და რასაც განიცდიდა, მხოლოდ მან და მისმა ღმერთმა იცინა.

ჩვენს მიერ პროკლამაციის გავრცელებიდან ოცდაათი წელი იყო გასული.

ზაურ ქობალია: „დამოუკიდებლობის აქტს ხელს რომ ვაწერდი...“

ის პირველი წუთები, როცა და-

მოუკიდებლობის აქტს ხელს ვაწერდი, ყველაზე უფრო ამაღლებული და ამაღლებული წუთებია ჩემი ცხოვრებისა. მიუხედავად იმისა, რომ მე თითქმის ბავშვობიდან ვიყავი ჩაბმული ეროვნულ მოძრაობაში, ვერ წარმომედგინა, პირადად მომიწევდა ასეთი უდიდესი მისიის შესრულება.

ძნელია აღწერა და გადმოცემა იმ გრძობებისა და განცდებისა, რაც დამეფულა მაშინ... ერთ-ერთი პირველი, რაც გავიფიქრე ის იყო, რომ ბევრი ჩემი მეგობარი და თანამებრძოლი ვერ მოესწრო ამ ისტორიულ მოვლენას...

გამახსენდა ნიკოლოზ (გურამ) ფარცვანი — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი არალეგალური ორგანიზაციის მთავარი კომიტეტის წევრი 1961-1963 წლებში, რომელსაც 5 წლით პატიმრობა მიუსჯვეს, ხოლო პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ, საეჭყო ვითარებაში გარდაიცვალა. გამახსენდა ამავე ორგანიზაციის ქუთაისის კომიტეტის ხელმძღვანელი გრიშა დავალი, რომელმაც მოიხანა 5 წელი პატიმრობა და დღეს ცოცხალი არ არის. გამახსენდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცები ჯანო რაფავა, რომან ბენდელიანი, პაატა ყურნუა...

ამავდროულად მაფიქრებდა და მანვალენდა ის, რომ ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლას ზვიად გამსახურდიას გუნდის სახით, უარყოფითად შეხვდნენ და პირდაპირ ომიც გამოვიცხადე ე.წ. ეროვნული კონგრესისა და მხედრობის სახით...

როცა უზენაესი საბჭოს სესიის 1991 წლის 9 აპრილის სხდომაზე ზვიად გამსახურდიამ გააკეთა განცხადება 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, ბევრი დეპუტატისთვის ეს წინასწარ არ იყო ცნობილი, მაგრამ ქვეცნობიერად ყველა გრძობდა, რომ რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო. როგორც კი ეს განცხადება გაკეთდა და ბატონმა ზვიადმა მთელს საქართველოს მიულოცა ეს ბედნიერი და ისტორიული ფაქტი, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა. ყველას ისეთი გაბრწყინებული სახე ჰქონდა, რომ თვით დარბაზის ჭერსა და კედლებს სულ სხვა ნათელი ედგა. რა დამავინყვებს, თუ როგორი ერთსულოვანი იყო მთელი დარბაზი და როგორი მღელვარებით აწერდნენ ხელს დამოუკიდებლობის აქტს. ხელმოწერას სისი მიხვდით ხებდობდა. მე, თუ არ მეშლება, 91-ე ვიყავი... ვინც ჩემამდე, ხელს აწერდა, ყველას ვაკვირდებოდი. მინდოდა ყველას პირველი გადაეწერა... როცა ჩემი გვარი ამოიკითხეს, რაღაცნაირი სიმძიმე ვგრძობდი და უცებ ვერ წამოვდექი. ასე მეგონა, ყველა ჩემი თანამებრძოლი, ჩემი დაღუპული მეგობრები, ყველა ჩემი ამომრჩეველი, მთელი საქართველო მე მიყურებდა... უფლის ნებით წამოვდექი... მივედი მაგიდასთან, პირველი გადავიწერე და ხელი მოვანერე... ჩემი სახით ამ ისტორიულ დოკუმენტს ხელი მოაწერა ყველამ, ვინც მე მაშინ ამირჩია... ის კალამი, რომლითაც ხელი მოვანერე დამოუკიდებლობის აქტს, პირველი ჩასვლისთანავე, ზუგდიდის მუზეუმს გადავეცი სახსოვრად.

საკატინეს კი?! (მოთხრობა)



მანანა კაკაჩია

გულისკანკალით ელოდა ნუცა იმ დღეს, როცა მისი პირმო უნდა მოვლენოდა ამ ქვეყნიერებას. შიშნარევი მოლოდინი ყველა პირველად ორსულის დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ ნუცას შიშს სულ სხვა საფუძველი ჰქონდა. რვა წელი ელოდნენ ნანატრ ორსულობას ოჯახში, მისი უნაყოფობა (ასე თვლიდნენ მეუღლეც, მეუღლისიანებიც) უკვე უდიდეს პრობლემად იყო ქვეყნის და ლამისაა გაყრის საბაბადაც იქცა, რომ ღმერთმა მონყალე თვალთ გადახედდა, მაგრამ უკვე 35 წლის ქალს მოშორების სამომოვება შეექმნა. შვიდი თვე თითქმის სავადმყოფოში გაატარა, მაგრამ ექიმები დიდ იმედს მაინც არ იძლეოდნენ. ნაყოფი ძლივს-ძლივს მატულობდა და გულისცემაც ძალზე სუსტად ისმოდა, არა და არა, იეს ბავშვი იყო მისი ერთადერთი იმედი ოჯახის შენარჩუნებისა.

თითქმის ყოველდღე ესმოდა მშობიარეობა ხმები, ახალდაბადებული ბავშვის ტირილი. ხედავდა ბედნიერებით გაბრწყინებულ სახეებს. პალატის ნაცნობები ამშვიდებდნენ, აიშვებდნენ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, მაგრამ შიშს ღრმად გაედგა ფსევები და უცნაური შინაგანი თრთოლვა მოსვენებას არ აძლევდა.

ტკივილები გვიან ღამით დაეწყო. მორიგე ექიმმა განყოფილების გამგეც გამოიძახა. ის იყო სამშობიარო ბლოკში გადაიყვანეს, რომ დერეფანში ჩოჩქოლი ატყავდა. ბლოკში მეორე მშობიარეც შემოიყვანეს. ახალგაზრდა, ფერდაკარგული გოგონა განწირული ხმით კიოდა და შევლას თხოვდა.

ნუცამ ადვილად იმშობიარა. მისი ბიჭუნა უღონოდ, მაგრამ მაინც ტირილდა და დედის გულს იმედებით ავსებდა.

მეორე მშობიარეს კი მდგომარეობა გაუართულდა. სავალდებულო 2 საათის ვასვლის შემდეგ ნუცა ახალ-მოხილთა განყოფილების გვერდით მდებარე პალატაში გადაიყვანეს. დერეფანში ხმაურმა იმატა. ნუცას გვერდით მშობიარე ქალს გამოეღვივია. ნუცას თხოვნიტ დერეფანში გავიდა ამბის გასაგებად და დაბრუნებულმა აცნობა, რომ ბოლოს მოყვანილ მშობიარეს, მართალია, ბიჭი კი გაუჩნდა, მაგრამ დენა აუტყდა, მისი სიცოცხლე ბენზე ჰკიდია, მთელი განთავსებული ქირურგიული განყოფილების ექიმები თავზე დასტრი-ალბენი.

აფორიაქებულ ნუცას არ დაეძინა. დერეფანში აჩქარებით მიმოდიოდნენ. როდის-როდის ხმაური შეწყდა. ახალმოხილთა ტირილი გაისმა. რამოდენიმე წუთში ტირილის ხმა შეწყდა, მხოლოდ ერთი მიკნავლებულად, გაბმულად ღწოდა. „ალბათ ჩემია“ — გაიფიქრა ნუცამ. ყურებზე ხელი აიფარა, რომ არ გაეგონა ეს საცოდავი ხმა, მაგრამ... ის ხმა თითქოს სულში უძებრებოდა, მოსვენებას არ აძლევდა, წამოინია. პალატაში სამივე მშობიარეს ეძინა. ადგა, ჩუმი ნაბიჯებით, ლასლასით მივიდა კართან, გამოაოლო. დერეფანში არავინ ჩანდა. ბავშვების განყოფილებაში შეიპარა. ახალგაზრდა, მორიგე ექთანმა მაგიდაზე დამხო-ბილიყო და დღმად ეძინა! მეორე მორიგე კი არსად ჩანდა.

პატარის ხმა მოგუდულად ისმოდა. სანოლს მიუახლოვდა. არ შემცდარა. ეს მისი ბიჭი ტიროდა ასე უმწეოდ. ნითელ, დანაოჭებულ სახეზე არც წარბები ემწეოდა და არც წამწამები. გვერდით მეორე ახალმოხილი იხვია. პუტკუნა, შუბლზე ჩამოშლილი შავი თმებით და გრძელი, შავი წამწამებით. დანარჩენი პატარები ცოტა მოშორებით დადგმულ სანოლებში იწვნენ. ნუცას თავში სამინელი აზრები დატ-რილდნენ.

„რომ დაიღუპოს? მეც ხომ ვიღუპე-ბი. ეს... ეს... ალბათ იმ გოგოს შვილია. რა ძლიერი ჩანს... რა იქნება, რომ... არა! ღმერთო! არა... მაგრამ... თუ ის გოგო გადარჩა, ახალგაზრდა, კიდევ გააჩენს, თუ... მე კი...“ მიხვდ-მოიხვდა, ჩამიჩუმი არ ისმოდა, ახალგაზრდა ექთანს ღრმად ეძინა, უცებ გახსნა ორივე ბავშვი. ხელზე შებმული სამა-ჯურები შეცვალა, საჩქაროდ შეახვია, ხელის კანკალით შეკრა გარეთა, ნარ-ნერიანი შესახვევებიც, რომ ფეხის ხმაც გაისმა.

აკანკალებულმა ოფლით დაცვარუ-ლი შუბლი მოინმინდა. ოთახში უფ-როსი ექთანი შემოვიდა.

ნუცა! შენ აქ რა გინდა? — მის მკაცრ შედახილზე ახალგაზრდა ექთანსაც გაეღვივა და დამნაშავედ ააფაფხულა შედეგები წამწამები.

— მე... მე... ბავშვი გაუჩერებლად ტიროდა და... ჩემი მეგობა. ვერ მო-ვიტოვებ...

— აბა, ჩქარა წადი და დანექი. არ გე-შინია დენა ატიტყდეს? ფეხზე ძლივს დგახარ. აქ უწინოდაც მიხვდავთ პატარებს. წადი, წადი. თეა, გააცილე ნუცა. შენ აქ დასაძინებლად კი არ და-მიტოვებინარ.

თემამ ხელმძღვანე გამოსდო აკანკა-ლებულ, ფერდაკარგულ ნუცას და კარისკენ წაიყვანა.

— ის გოგო როგორაა? — ჰკითხა სვეტას.

— ჯერ-ჯერობით კიდევ საფრთხე-შია. სისხლს უსხამენ შეუჩერებელი. იმედია, გადარჩება. ჯერ მხოლოდ ოცი წლის ყოფილა, შენ რამ აჯაყე-ნა? გაგიუდი? რაც მთავარია, კარგად იმშობიარე. შენი ქმარი, დედამთილ-მამამთილი ალბათ სხარულით მეცხ-რე ცაზე დაფრინავენ.

— ალბათ... — უღონოდ უპასუხა ნუცამ.

როგორც იქნა პალატამდე მიადნი-ეს.

— გამდლობ, თეა — ძლივს გაუღიმა და სანოლზე დაეშვა.

ყველაფერი აკანკალებდა. ყურები უწიოდა. თავში თითქოს უროს ურტყ-ყამდნენ... ცოტა ხანში დანწნარდა. აზროვნების უნარი დაუბრუნდა.

„ეს რა ჩავიდინე... ღმერთო! რომ გამიგონ? მაშინ რა ვქნა? ამას ხომ არასდროს მაპატიებს ვახტანგი? ღმერთო! არა... არ... ვერ გამიგებენ. ვინ მიხვდება? თეას ძინა, სვეტა არ იყო. მიშველე ღმერთო!“

პალატაში თემამ შემოიხვდა.

— როგორ გრძობა თავს? სვეტამ შენს გამო იმდენი საყვედური მითხ-რა... ღმერთმა ნუ ქნას, რამე გაგირ-თულდეს.

— კარგად ვარ, გენაცვა, კარგად. სვეტას კი ჩემს მაგივრად ბოდიში მო-უხადე.

დერეფანში, პალატის კართან ახ-ლოს ფეხის ხმის გაგონებაზე გული შეუხტებოდა ხოლმე. ღამემ მშვიდად ჩაიარა. გაღვიძებისთანავე ის გოგონა მოიკითხა.

— გადარჩა, რენაიმაციასში ყავთ. ხედა პალატაში გადმოიყვანენ, ბავშვი კი ძალზე სუსტია და აპარატზე შე-აერთეს, — უთხრა თემამ.

თითქოს გული გაუჩრქდა, გაფითრ-და. მერე ოფლმა დაასხა. „ჩემი ბიჭი...“ ამოიკენესა. დანაშაულის, შვილისად-მი ღალატის გრძობა გულს უღრღნი-და. გაორებულყოფი იყო.

დედებს ბავშვები ჩამოურიგეს. ნუცა დიდხანს აკვირდებოდა „თავის“ პანუ-კას. მრგვალი პირისახე, გაბუშტული ლოყები, მსუქანი ტუჩები, შავი, ხშირი თმა, გრძელი, აპრესილი წამწამები, ბიჭი შეიმშუშნა, თვალები გაახილა.

„ღმერთო ჩემო! რასაც ვარეული... ეტყ-ობა შავგერმანი, შავთვალა იქნება. რა უნდა ვთქვა? ვის ჰგავს-მეთქი? მე მწვანე თვალები და ქერა თმები მაქვს, ვახტანგი კი რუსივით ცისფერთვალა და ღია, ღია ქერა ფერის თმების მქო-ნია. ბებია, მე ხომ ბებია მყავდა კახე-ლი, მულატივით შავგერმანი, შავთ-ვალა. რატომ არ შეიძლებოდა შეი-ლიშვილი დამსგავსებოდა?“ პატარამ ტუჩების ცმაცუნე დაიწყო. ხან აჩქე თმოატრიალა თავი, ხან იქით და ვერა-ფერი რომ ვერ იპოვა, ატიროდა.

ნუცა მოჯადოებულივით დასცქე-როდა, ცრემლები კი თავისთავად მო-გორავდნენ, პატარას გულზე ეწვეთე-ბოდნენ.

— ნუცა, ნუცა, რა მოგდის? — დაუ-ძახა გვერდით სანოლზე წამოწოლილ-მა ქეთინომ — ყველაფერი კარგადაა, რა გატირებს, მიეცე ძუძუ, ცოდვავა.

ნუცამ უღონოდ გაიღიმა და... თეა-ლი რომ გაახილა, ირგვლივ შემოვითე-ბული სახეები დაინახა.

— რა იყო შე ქალი? ძლივს ყველა-ფერმა წორმალურად ჩაიარა და ახლა კიდევ ახალ პრობლემებს გვიჩენ? — უსაყვედურა დავით ექიმმა.

— მაპატიე, — უღონოდ ჩაილაპა-რაკა — მე არ მინდოდა... არ ვიცო, რა მომივიდა.

— გეყო ნერვიულობა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ბიჭი გაყავს, მას უნდა უპატირონო. ცუდი ფიქრები შორს! — გაუღიმა დავით ექიმმა და წამოდგა.

მორიგე ექთანმა ქეთინოს სანოლი-დან აიყვანა პატარა და ნუცას მიუწვი-ნა. ბიჭი გატრუნულიყო და შავ თვა-ლებს აბრიალებდა.

ნუცამ ბედნიერი თვალებით შეხედა ექიმს, მედდას, პალატის მეზობლებს და გულიანად გაიღიმა.

ერთ კვირაში გაენერა ნუცა და სახლში საოცრად ბედნიერი, მაგრამ შინაგანად აფორიაქებული დაბრუნ-და. ნასვლის ნინ კიდევ შეიპარა პატა-რების ოთახში. მისი ხამდევილი ბიჭუნა განცალკევებით ეწვია... იმდენად უსუსური იყო, რომ დედასთან არ მი-ყავდათ, იქვე, ადგილზე სანოვარათი აძლევდნენ რძეს.

„მაპატიე შვილო, მაპატიე. ღმერთმა გაგზარდოს და გაბედნიეროს“ — წა-რჩურჩულა და ცრემლიანი თვალები მორიდდა.

სანდრიკო თვეობით კი არა, ზღაპ-რის გმირივით, დღითიდღე იზრდებო-და. საოცრად მკვრივი, ბუთხუხა ბიჭი იყო.

— რალა შენს ბებიას დაემსგავსა? — უკვირდა ვახტანგს — რა იქნებოდა ჩვენ დაგვგმავსებოდა?

— ღმერთმა გვაჩუქა და შენ ინუნებ? — შეუტყვდა ნუცა.

— არა, არა, რას ამბობ, ვინ ინუნებს, ოღონდ ჩვენს ფონზე ძალზე შავტუ-ხაა — თავს იმართლებდა ქმარი.

დრო შეუმჩნევლად მიქროდა. ნუცას მეტი შვილი არ შესძენია. სანდრიკო იყო ოჯახის მანათობელი შუქურა, ჭკვიანი, თბილი, მოსიყვარულე ბიჭი ეზრდებოდათ.

ნუცას გულს უღრღნიდა, მოსვენ-ებას არ აძლევდა საკუთარ შვილზე ფიქრი. იცოდა, რომ ბიჭი გადარჩა, რომ იმ გოგოს მერე სამი შვილიც შე-ეძინა, რომ უფროსი ბიჭი ამკარად განსხვავდებოდა და-მებისაგან.

ვერ მოისვენა, ვერ ამოიგდო თავი-ცნად ფიქრი და ერთ დღეს ის სოფლის სკოლაში მივიდა, სადაც ბავშვი სწავ-ლობდა. იმდენ ბავშვში უკითხავად ამოიცნო მისი შვილი. ბავშვი საც-რად ჰგავდა მას. ცრემლიანი თვალებ-ით უყურებდა მოთამაშე ბიჭს.

განადგურებული დაბრუნდა სახლ-ში. სანდროს მოფერებამ ცოტათი მო-აბრუნა, მაგრამ... იმ ღამეს ისე ცუდად გახდა, რომ სასწრაფოთი კარდიოლო-გიურ კლინიკაში გადაიყვანეს.

მთელი თვე იკვადმყოფა და მერეც სულ წამლებით იყო. თავზე ევლებ-ბოდა მეუღლე, მაქსიმალურად ეხმა-რებოდა დედამთილი, მაგრამ ნუცას გულის მდგომარეობა თანდათან უა-რესდებოდა.

სანდრო და მისი ზურიკო უკვე სკო-ლას ამთავრებდნენ.

მისის დასაწყისში კიდევ ერთი სე-რიოზული შეტევა გადაიტანა ნუცამ და მერე ლოგინიდან ვეღარ ადგა.

სკოლიდან დაბრუნებული სანდრო ჯერ დედას მიაპურებდა, მოუყვებო-და იმ დღის ამბებს, მოუფერებოდა, გაამხნეებდა, მერე ჭამდა საჭმელს და გაკვეთილებს მიუბრუნებოდა. დანოლის წინაც სანოლთან დაუჯდე-ბოდა, ხან რას მოუყვებოდა და ხან რას. ცდილობდა, მდგომარეობიდან გამო-ეყვანა საყვარელი დედა.

ნუცა ატყობდა, რომ მისი განამე-ბული გული შემდეგ შეტევას ვეღარ გაუძლებდა. არ უნდოდა ის სამინე-ლი საიდუმლო საფლავეში ჩაეტანა, მაგრამ იმისიც ემზინოდა, სანდროს და იმასაც, ზურიკოს არ შეეძლებინათ, არ შეეჩვენებინათ იგი.

გვიან ღამით ცუდად იგრძობ თავი. ვახტანგი გააღვიძა. წამლები დალია და სანდროს მოყვანა თხოვა ქმარს.

შემიხვებულ ნუცამ უმეორად დასანდრო. მოეფერა დედას. ნუცამ ორივე წინ დაისვა.

— მე მალე მოვკვები — ხმის კანკა-ლით დაიწყო ნუცამ.

— დედა... ცრემლიანი ხმით წამოი-ძახა სანდრომ.

— ნუცა, ნუ — დაფარული შიშით მი-მართა ვახტანგმა.

— ნუ შემაწყვეტილებ... იქნებ ამ ამ-ბის მერე... არც კი შემომხედოთ... ნანყვეტ-ნანყვეტ, ძლივს გასაგებად მოჰყვა სამინელ საიდუმლოს.

თავზარდაცემული გაუნძრევლად ისხდნენ.

ნუცას რალაცნაირმა ამოოხვრამ გა-მოაფხიზლა ორივე. ქალს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— დედა, დედა... — ცრემლები ახრ-ჩობდა სანდროს.

სასწრაფო მოუწონოთ. ძლივს მო-აბრუნდა. ნაცნობმა ექიმმა ვახტანგს სინანულით უთხრა:

— სამწუხაროდ, მისი გული... ძაფზე ჰკიდია, მას არ უნდა საავადმყოფოში დასვლა და... ვრც დავაძლებ.

ნუცამ ხელი უღონოდ ასწია და სანდ-რო მიიხმო: ცრემლიანი, სიყვარული-თა და შეძრწუნებით სავსე თვალებით შესცქეროდა ბიჭს.

— შვილო... მაპატიე — წამოიკვენ-სა.

სანდრო უხმოდ მიუახლოვდა, ჩაი-ჩოქა და გულში ჩაეკრა ქალს.

— სანდრიკო... ზურიკო... მაჩვენეთ — ნაჩურჩულა და ათრთოლებული ხელებით ჩაიხუტა ბიჭი.

სენსაციად იქცა ვახტანგისა და სანდროს გამოჩენა ჭილაიების ოჯახ-ში, მაგრამ არავინ დაეჭვებულა მონა-ყლის სისწორეში, რადგან სანდრო გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა წამდვილ მამას, ხოლო ზურიკო სახეში ამკა-რად ჩანდა ნუცას ნაკეთები.

ორივე ბიჭი საოცრად დაბნეული იყო.

...ნუცა მოუთმენლად ელოდა მათ დაბრუნებას. ოთახში ჯერ სანდრო შევიდა, მერე ზურიკო, ვახტანგი და ზურიკოს დედ-მამა, მაგრამ ნუცა მხოლოდ ზურიკოს ხედავდა.

ბიჭი შეძრა უცხო და ამავე დროს სა-ოცრად ახლობელი ქალის თვალებმა. მისდაუნებურად მიუახლოვდა მის სა-წოლს და მის წინ დაიჩოქა.

— შვილო... გამწრალი ტუჩებით ძლივს დაიჩურჩულა ნუცამ.

სანდროც სანოლს მიუახლოვდა და ზურიკოს გვერდით დაიჩოქა.

— შვილებო... შვილებო... მაპატი-ეთ... აკანკალებული ხელები ორივეს მოხვია, უნდოდა წამოწეულიყო, კი-დევე რალაც ეთქვა, მაგრამ...

ნუცას დასაფლავებაზე ორივე ბიჭი იდგა კუბოსთან. სანდრო გულით დასტირდა საყვარელ გამზრდელ დედას. ზურიკოც საოცრად განიცდი-და მშობელი დედის სიკვდილს. მიუხე-დავად იმისა, რომ მხოლოდ ერთხელ ნახა იგი.

ბიჭებმა წამდვილი მძებრით გააგრ-ძელეს ცხოვრება. სცადეს წამდვილ მშობლებთან ეცხოვრათ, მაგრამ... ვერ შეძლეს და დაბრუნდნენ გამზ-რელებთან.

მათ ერთად დაამთავრეს უნივერსი-ტეტი. სანდრომ საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. ზურა მისი მარჯვენა ხელი გახდა.

ისინი ხშირად ერთად აკითხავენ ნუცა დედის საფლავს. უხმოდ დგანან და დღესაც არ იციან, შეძლეს თუ არა მისი ბოლომდე პატიება...

ქეთაკათ დიანთილც გურც. 9. ნოსაქ გალენ საქვარებც შურიით ვემკაჯინუ, მაყალბეც აშუდობოდუ დო, ფიცნი ხოლო ვემწართინუ. 10. სოთინ ვამძირ, ძღაბი, თაში ირო კოფეს ქოშუნდეს, ქუშადირთ, — მუჭო რყუნც, ჭაჭუ, ნოსა, ქომნი, მუჭო გუმგოდირთ? 11. — დითა, ვიშო, ვამინუა, უჩა ჭირი ვაგომინა, თიში ხეს, სი ლურევი, გოჯოგელი მაფუ რინა. 12. ორტივინც თენა ვემკაჯინე, ყვანას შური მუშა თქუა, ვაქოსნც, ვანახუნც, ვამ ქომონც, ვართი სკუა. 13. — ვიშო, ვიშო, მურე მინინ, ოსურ, თეცალს ვავინ? — ტყყორდი, ნორა, სი ვაჩიქ, მურე მულამჩვავინი. 14. სოთინ ვამძირ, ძღაბი, თაში ირო კოფეს ქოშუნდეს, უკულ მიულ დლას ართიანც, ჭირქებს ინუჯვინდეს. 15. ჩქიმი სკუას, ბორო სკუას ქუნი თიში საყალე, მაჟია დლას ჩქიმ ნოსაქ, „გორას სქანი მაყალე“. 16. მუ ვამინუ, მუ ვამპკიდუ, ნენწყარი ხოლო ვაფრჩხნც ანწე, „გორას სქანი მაყალე“. 17. ნოსა ხოლო ეთიმ დლას მაყალეც ქიძირუ, დო თივცლო თიში რინა, მანგარო გიკვირუ. 18. ძღაბი, მუმმავგირათ ოფეც, ვარდის ქოქცე ვავინალო, დიანთილი თივცალი რუსნცუ, გილუანც ძღაბივცალო. 19. — ოშო, დია, ჩქიმ დიანთილც ირო საქვარი უჭირც, ჩქიმო ხემი მოწწყულა, მუთუნო ვაუღირც. 20. ჩხინდით დიხას ვამთხორწინი, გომიჯოგუ თემ გურენი, ირ დლას უნწყუნც მუში სკუას, ირ სურც ბზუპუნთ თემ გურმენი. 21. სტუმარი ქუმმაკათუნი, აკონკურუნც ნაცია, ქუმორჩქინას, აფხანაგეფი ვაქუნდუო დლასია. 22. მუმ საყალე ქიეგეო ნოსაქ, გინორჩენას, თი ნუთის ვაგაბუნა, ვარე რჩქენელი ცალეხას. 23. — ვავა! მუს რე იბრჩქილექენ, მი რე გომოსანცინე? სქან საყალეს ასე ფთქუა საქემ თამ რე, რახანცნი. 24. სტუმარი ვაგაბილაფუ, სი ნუნსკი დო ხემეჭვილი, ყულდეს ირველ რწკინცნი რენო სქანი მიკონწყილი? 25. — სი ოქშიმ მატახალი, ასე მა, მა ორველს ფთქუა, საყვარლებმა ვადაკვანას, ქომორჩქინ ოშო, ვარს სკუა. 26. — დიდუ, მურე მომგონნი, ირო ტყურას თქუანქ, ვარი? ჭყული გემწომალდას, სქანი ინასპაჯაფალო... 27. თქვანიტ ქიმეხვადთ ანწი, მუ ამბექი იქუ თექ, მის მიქ თუმა გაპუქტორ, მის მოხვად მიში ხექ... 28. ათეცალი ამბექ უკულ, დიანთილცეც მოკო გინუათ, მუდგარენიმ დოგურაფა, ქვანებდათ ჩქიმ ჭყუათ. 29. ნოსას ქუმოიუნანანი, ვაღიჭყათ ნონება, ხეთე თინა ვეკითხათ — გოჯინა დო ქენება? 30. ქონება ბრელ დიხას, ქვიშაველო მულასორც, მარა თექ მუწარადი ძღაბი, ჩქინცალ კოც მუთას ორც. 31. მეჯინელო ჩეჯა ხოლო, ზისნახე რე, გასაკვირი. მარა ვერც მასალათ, ვატიბუნც თიმ დაჩხირი. 32. ღორონთქ არძოს გაპორეს ათეცალო ართო რინა, ჯგირ ნოსაში ვავორათ, ვართ ქონება, ვართ გოჯინა. 33. თქვა უწინამი ხომ ზოჯინ, ბრელ მუდგარენ გიძირნა, მიამქვით ახალეფი, მუნეფიმ დუც ქიძირნა. 34. მურ დო გურთი მესხარით, მეჩით თინებც ანწი შარა, ხომ ვაკვანა სირჩინუეს გილუდანი ნუხილ-ნგარა.

„რას სიცოცხლე? — თუკი სანთელი მშობლიურ ტაძარს ვერ აგინთია?!“

ბუსუდანი ურდია



რუსუდან ურიდიას ლექსები, უნიარეს ყოვლისა, გულწრფელი სტრიქონებია, სამშობლოსადმი უნაპირო სიყვარულითა და ერთგულებით სავსე... მისი ლექსები ყოველთვის მკითხველთა ინტერესს იწვევდნენ...

წლების განმავლობაში მოუწია რუსეთში, ემიგრაციაში ცხოვრება. ამიტომაც მის ლექსებში სამშობლოსადმი ნოსტალგია არის გადმოცემული. 2004 წლის ალმანახ „ქიარის ხატის“ მეორე ნომერში მკითხველები გაეცნენ რუსუდან ურიდიას რამდენიმე ლექსს.

გასულ წელს ყველაზე დიდი ოცნება აისრულა: დაბრუნდა საფიციარ სამშობლოში!
ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ლექსებს რუსუდან ურიდიას შემოქმედებიდან.

მე ნოსტალგიით უკვე არ ვცხოვრობ, სიხარულს უფრო თუ ვეძებ... სამშობლოში ვარ, და გულს მიაბებს, ჩემი ბავშვობის ნატერფალები!

ობუჯი, ნოემბერი, 2012 წ.

მომნატრებია

მომნატრებია ჩემი სოფელი, ჩემი ეზო და ჩემი სახლ-კარი. ჩემი ბავშვობის ნატერფალები, მწვანე მინდორი და დილის ცვარი. მომნატრებია მე ჩემი ეზო, და ჩემი ჭიშკრის გადასახედი, ბებერი ცაცხვის ტოტების ფონზე კავკასიონის გორაკი მთები. მომნატრებია გაზაფხულობით ახლადდახსული მინის სურნელი აფეთქებული კვირტა სინაზე და სილამაზე დამატრფუნელი. მომნატრებია გუშაგებობით გამწკრივებული პალმის რტოები, მავი ადესა სახლის აივანს აკიდებული განმარტოებით. მომნატრებია ჩვენი ვენახი, ჩემი მშობლების ხელთნაფერები, ახლადგასხვლილი ვენახის ლერწი დასველებული ვაზის ცრემლებით. მომნატრებია პატარა დეღე, მის ნაპირებზე ნაზი იები; სურნელოვანი თეთრი მტევნებით გადაპენტილი აკაციები. მომნატრებია თავის ბუდესთან აჭიკჭიკება ჩვენი მერცხლების, და ნაადრევი აფარფატება მწვანე მინდორზე ნაზი პეპლების. მომნატრებია ალიონობით მამლის ყვილზე შემოთენება, სუფთა შაერის უხვად ჩაყნოსვა, ცისკრის ვარსკვლავზე თვალის შევლება. მომნატრებია თაკარა ზაფხულს ჩემი ჭანისწყლის ტომბა და მარჩხა,

დროით კალაპოტ დინება შეცვლილს, ძველნაფსკერალს რომ ქვებილა დარჩა. მომნატრებია „სამცაცხვის ძირი“, მაგნოლია და თეთრი ჭადარი, საუკუნოვან ქარტყილების მემატრებია და თანამგზავრი. მომნატრებია მე ჩემი ზეცის ულამაზესი ვარსკვლავთ კაშკაში, ჩემი მზისა და მთვარის ნათება, სახლის სახურავს წვიმის თამაში. მომნატრებია თბილი გულეების კეთილი სახით შემოგებება, რაც ყველაფერი მშობლიურია და დროთაყაბში არ იცვითება. მომნატრებია ჩემი სოფელი, ჩემი ეზო და ჩემი სახლ-კარი, ჩემი ბავშვობის ნატერფალები, მწვანე მინდორი და დილის ცვარი...
რუსეთი.

ლექსის მინანჭრი: ნალენჯიხის რაიონის სოფელი ობუჯი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. „სამცაცხვის ძირი“, ადგილი, სადაც ტარდებოდა ერთობის კრება და რომელიც მოხსენიებულია ლეო ქიარელის „ტარიელ გოლუაში“. ასევე — მდინარე ჭანისწყალი „ტარიელ გოლუაში“ „ბროლიად“ ნოდებულნი.

რას სიცოცხლე? — თუკი სანთელი მშობლიურ ტაძარს ვერ აგინთია?!

ამდენი წელი უსამშობლოოდ, ემიგრანტობაში ძლიერ დამალა, ჩემსავით ფსევს მონატრებული არის ქართველთა მთელი ამაღა. ქართული მინის ყველა მტკაველი მუხლებზე მოყრით თუ იკოცნება. მშობელი მინის მოსათუთება, რამდენს საფლაგში ჩაპყვა ოცნებად. ყველა ნაბიჯი ნოსტალგიისკენ, სულის გამოცდის ლაბირინთია. რაა სიცოცხლე? — თუკი სანთელი მშობლიურ ტაძარს ვერ აგინთია?! რაა სიცოცხლე — ამოსუნთქვისას ხშირად თუ ოხვრა ამოაყოლე. შენი გრძნობები ასე რომ გვტანჯავს სხვის ქვეყანაში წლებს გააყოლე. შენი ბავშვობის ნატერფალები არ უშინდება წლებთა იარებს... ისევე გელიან, ისევე გიცდიან, შენ მხოლოდ ერთხელ ჩამოიარე... ჩამოიარე თუნდ სიბერში, ჩამოიარე თუნდაც სნეული, ქართველი კაცი უსამშობლოოდ ვინ თქვა?! — არ არის გზარეული?!.. სამშობლო ჩემო! — დედა — მინაო! ემიგრანტობა ქართველთ აკმარე, ვითარცა კრუხი თავის წინილებს, ქართული კალთის ქვეშ შეიფარე. გადააფარე ქართული ზეცა, შეკრიბე შენი ჯილაგი, — ჯიმი; ღმერთო, ნუ მოკლავ უცხო მხარეში. აღარ ტანჯავდეს ჯავრი და შიმი. ცხოვრების ყველა ჯილდო, მედელი გადამიცვლია შენს სიყვარულში, სამშობლო, — მხოლოდ შენ დაუამებ ქართველ ემიგრანტს დალიან გულში!..
რუსეთი.

კოლუპანოვის დედათა მონასტერი (ბუსეთი) იქვეა წმინდა წყარო

აქ წმინდა წყაროს წყარო, მე ჩემი რწმენით მოვედი. მეგონა, სულის სიმშვიდეს აქ უფრო მოვიპოვებდი... ამხელა მინის პატრონსა

რად უნდა სხვისი მთა-ველი?.. ღმერთო, შენ გადამირჩინე, საქართველო და ქართველი. გულისტკივილით გავყურებ უკიდევანო ტრამალებს... სადაც არ იყოს, — ნუ ნაშლი ღმერთო, ქართველის ნაკვალევს...

გაზაფხული დამკარგა სადღაც, აპრილია, ზამთარივით თოვს, ჯავრით ხეებს დაებერათ კვირტი, მოფერებას მზის სხივებსა სთხოვს. იქ ფერხული გაუმართავი ფერებს, ჩემს სამშობლოს კვირტყვავილად ქსოვს, მომეძალა, მომეძალა სევდა, აქ აპრილშიც ზამთარივით თოვს...
რუსეთი.

ხომ ლამაზია ეს „ბერიოზა“, ჩემს ფანჯარასთან გუშავად მდგარი. მე მაინც ჩემი მომნატრებია მაგნოლია და თეთრი ჭადარი... ხომ ლამაზია ეს „ბერიოზა“, რაც მართალია არის მართალი. მაგრამ მე მაინც მას მიჩვენია ჩემი ალვის ხის ჩამონათალი...
ტულა, რუსეთი.

თიხიდან ძერწავს ქართველი კაცი ჯამს და ფიალას, და საქართველოს გაუმარჯოს, — იქვე მინარს. შხამსაც კი დავლევ ამ ჯამიდან და ვადღეგრძელებ ყველა კეთილ კაცს, ვინც ქართველ ხალხს ლოცვას მინავეს. აქ, — უცხოეთში ჯამს ხელისგულზე როცა დავიდე და ვინით ავავსებ ასო ქართველს როცა შევხვდავ, ასე მგონია, მე საქართველოს მოვხვიე მკლავი და მორიდებით მოფერებას ვეღარ ვუბედავ!
ტულა, რუსეთი

ისე დაგანყურებს სულში გაგრძნობინებს, ნეტა რა ძალა მასში გარეული,

მაინც ხომ სულ სხვაა შენი მინის წყარო, მუხლზე დაჩოქილი პეშვით დაღეული...

წლებმა დამათოვა, გული არ ბერდება, სულში შემეპარა მწარე სინანული, ჩემთვის, ქართველისთვის არის ანათება უცხო ქვეყანაში წლები გაღეული... ჩემი საქართველოს ზეცა მენატრება, მეკვლე, ჩიჩილაკი, შობა, ახალ წელი, ჩემს სალოცვებში ტკბილი გალობა და თბილად დაღვენთილი
სანთელ-საკმეველი.
რუსეთი.

სარკმელიდან რომ გავხედავ უცხო ქვეყნის ცას, სამშობლოზე ნავიმღერებ უცხად რალაცას, ეს დილინი ჩემი სულის მონაწურია, ყველაფერი მშობლიური რარიგ მწყურია...
რუსეთი.

ამ სანთროში ქართველად მოველ

ამ სანთროში ქართველად მოველ, საქართველოა ჩემი ფსევები. ჩემში სისხლია წმინდა ქართული, სული უფალთან შენავედრები. ამ სანთროში ქართველად მოველ, საქართველოა ჩემი ტაძარი. ჩემი სისხლის და ხორცის საუფლო და ჩემი ძვლების ძვალთშესაფარი. ამ სანთროში ქართველად მოველ, ჩემთვის წმინდაა სიტყვა ქართული, ჩემთვის წმინდაა მშობელი მინის ყოველი გოჯი სისხლით დაცული. ამ სანთროში ქართველად მოველ, მეფე დავითის მკერდზე გავზრდილვარ, სადაც და როგორც არ უნდა ვიყო, ხმამაღლა ვიტყვი რომ ქართველი ვარ! ამ სანთროში ქართველად მოველ, თუმც ამ სანთროს მე ვარ სტუმარი... ჩემს სამშობლოსთვის, უფალო ღმერთო! გული მუდამ მაქვს გაუხუნარი!

შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!..



სურათზე, პირველ რიგზე, მარცხნიდან მარჯვნივ: ნატო ჩალიგავა, ნანი კაკაჩია, ტარიელ ხასია, ლალი კაკაჩია, ჯამბულ სონგულია, ნონა კაკაჩია; მეორე რიგზე; იმედა არახანია, როენა კაკაჩია, ბელა კაკაჩია, კლასის დამრიგებელი გუგუშა შენგელია, რუსუდან ურიდია, ქეთინო კონჯარია, რაულ სონგულია; მესამე რიგზე: ჯემალ კაკაჩია, ჯამბულ ქებურია, გელა (გია) სონგულია, თენგიზ (ზურაბ) კაკაჩია, ვაჟა (რეზო) მეზონია, ელგუჯა კილავა, ვალერი ძაძაძია. II კლასი, ობუჯის საშუალო სკოლა, 1970 წლის 22 აპრილი.



დაფურეკე ხუთ წუთში აქ იქნებაო. მერე მომანოდა რაიონული გაზეთის ორი ნომერი, რომელშიც სლავას ნიჭიერი დის ჩანახატები იყო გამოქვეყნებული. მართლაც, რამოდენიმე წუთში, კარის ზღურბლზე გამოჩნდა ბრგე, სიმპათიური სახის ახალგაზრდა, რომელმაც გამიღიმა, ხელი ჩამომართვა და გამეცნო: გიორგი ფიფია — სლავა ჩხვიმიანის თანამებრძოლი, ძმა და მეგობარი.

სლავას დედამ სწრაფად გაშალა სუფრა, სადაც მაშინვე გაჩნდა ღვინო, ხილი, ტკბილეულობა... სლავას თანამებრძოლი საინტერესო მოსაუბრე გამოდგა.

ლი ასე ქვეყნის მტრებს და ასეთი შემართებით რატომ დასდევდნენ მოსაკლავად.

ეს ის გაბრიელ ისაკაძეა, რომელიც 1988 წლის ნოემბერში, თბილისში, ერთკვირიანი პირველი საპროტესტო მიტინგის დროს, აიჭრა მთავრობის სახლის სახურავზე, მოგლიჯა სისხლიანი, ნითელი, ორჯონიკიძისეული დროშა და პორტალიდან ძირს დაანარცხა. ეს ამბავი მთელი სენა, ცნობილია ქართველმა მწერალმა ომარ გოჩელაშვილმა საინტერესოდ ასახა თავის რომანში „ვიდრე ნათელ მატქს...“

სწორედ ეს ვერ აპატიეს თხემით ტერფამდე ქართველს — გაბ-

ისაკაძეს და ახალი, 1994 წელი შავად გაუთენეს... გიორგის მონათხრობმა ისე დამზაფრა, რომ კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე. მერე გიორგიმ ღვინო დაასხა ჭიქებში და ორი ვაჭკაცის — სლავა ჩხვიმიანისა და გაბრიელ ისაკაძის შესანდობარი შემომთავაზა... ლალი მაისურაძის ხსოვნის სადღეგრძელო ცალკე ავნიეთ. რა თქმა უნდა, ზვიადისა და მერაბის ხსოვნის სადღეგრძელოებიც დაილია, ასევე — საქართველოს სადიდებელიც, რისთვისაც ასე უყოყმანოდ გასწირეს თავი სლავამ, გაბრიელმა და მათნაირმა ვაჭკაცებმა! სლავას დედამ უმძიმესი დღე-

ფიას, რომელიც წერს, საქართველოს ისტორიას სჭირდება მათი სახელების ცოდნა... * * * მზე საკმაოდ გადახრილიყო... როგორც ჩვენში იტყვიან, იმ მთისაც ვთქვით, ამ ბარისაც და ოჯახს გამოვემშვიდობეთ. გიორგიმ არ დამიჯერა, გაგაცილებო და საუბარ-საუბრით სოფლის ცენტრამდე მივედით. და იქ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, საქართველოს უკეთესი მერმისის ხილვის იმედით!.. ვალერი ძაძაძია. 2012 წ.

კანონიერების ერთგული დამცველი - სლავა ჩხვიმიანი

მომდინარე წლის ოქტომბერში 20 წელი სრულდება კანონიერებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი ქართველი ვაჭკაცის — სლავა ჩხვიმიანის ვერაგული მკვლელობიდან.

გაზეთ „ნოვინური“ 22-ე ნომერში (2011 წ. ივლისი) გამოქვეყნდა წერილი სლავა ჩხვიმიანზე, „სჯეროდა, რომ კანონიერებას იცავდა.“ წერილის ავტორი, სლავას თანაკლასელი, ეკა ქარდავა. ეს წერილი ამონარიდია მწერალ თამაზ ფიფიას მიერ გამოსაცემად მომზადებული წიგნიდან „ცოდვის კალო სამეგრელოში“ (ნაწილი მეორე), რომლის პირველი ნაწილი 2007 წელს გამოიცა.

2011 წლის ივლისს ვესტუმრე სლავა ჩხვიმიანის ოჯახს. გმირი ვაჭკაცის დედამ დიდი სიყვარულით მიმიღო. როცა გაზეთის ნომრები გადავეცი, მას ცრემლები მოერია, ვერ წარმომედიანა ამდენი წლის მერე ჩემი სლავა ვინმეს თუ ახსოვდაო, — ჩუმად ჩაილაპარაკა. ამის გაგონებაზე მეც ძლივს შევიკავე ცრემლები... რამოდენიმე წუთი უხმოდ ვიდექი სლავას სურათის წინ, რომელიც ოთახში, კედელზე ეკიდა. დედამ გამომიტანა ორი, საოჯახო და სკოლის ალბომი, მომიბოდიშა, მეორე ოთახში გავიდა, მობილურზე ვილაცას ესაუბრა და სთხოვა, აქ, ჩვენთან მოსულიყო.

დიდი ყურადღებით ვათვალიერებდი ჩხვიმიანების ოჯახის ალბომს. მეხსიერებაში ამოტივტივდა დიდად პატივცემული, ანგანსევენიური პროფესორი ქალბატონის — მარგო ფონიავას სიტყვები, რომელიც მან დედაქალაქში, მასთან სტუმრობისას მითხრა (უფრო სწორად, საჩუქრად გამზადებულ ალბომზე წამინერა): „საოჯახო ალბომი ოჯახის ისტორიას ინახავს. მასში წარმოჩინდება რა ოჯახის სახე, იგი ფაქტობრივად მისი წარსულის არდავისწყებას ემსახურება.“ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ქალბატონის სიტყვების ჭეშმარიტებაში...

სკოლის ალბომში ვნახე პატარა ბარათი — თანაკლასელი ულოცავდა სლავას სკოლის დამთავრებას:

„სლავა! გილოცავ სკოლის დამთავრებას, სიცოცხლის გზაზე წარმატებებს. იხარე მარად! იმზავრძელე, იმზავრძელე!“

ეკა ქარდავა, 1989 წლის 25 მაისი.

ოთახში შემობრუნებულმა სლავას დედამ ერთხელ კიდევ მომიბოდიშა და მითხრა, ვისაც



სურათზე: პირველ რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ: — ზაზა ლიპარტიელიანი, სლავა ჩხვიმიანი, ემილო სვანი, ცეზარ ბაჯალაძე; მეორე რიგში: — ბაჩუკი გვანცელაძე, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ზაზა ბურჯანაძე, ბადრი რაჭველი. ნალენჯისა, 25 სექტემბერი, 1993 წელი. ვალერი ვ. ჭანტურიას ფოტო.

შესანიშნავი მეხსიერების წყალობით გიორგი დეტალებში იხსენებდა სლავასთან ერთად გატარებულ ბოლო, უკანასკნელ წლებს, როდესაც თავისუფლების ბრძლეტი მზე დანისლეს გადაგვარებულმა ქართველებმა...

გიორგიმ გაიხსენა 1992 წლის აპრილის დღეებიც. თანამებრძოლებან ერთად სქურის ტყეში იყვნენ გახიზნულნი და იქიდან შემოსულ ბანდებს ებრძოდნენ. იმ ვერტმფრენის, რომელიც ძალიან ახლოს მოფრინდა, შეიძლება დაო განადგურება, მაგრამ დღემდე ვერ ამიხსნია, ვინ იძლეოდა ვერტმფრენის არჩამოგდების ბრძანებასო. ამასობაში, სანამ გონს მოვეგებოდით, ვერტმფრენიდან ნასროლი რაკეტით პრეზიდენტის პირადი მდივანი — ლალი მაისურაძე, „გაზ-24“-ის მარკის ავტომობილში ჩაცხრილესო...

სწორედ გიორგისაგან შევიტყვევე პირველად, რომ ქართველი ვაჭკაცი გაბრიელ (გაბო) ისაკაძე რამოდენიმე თვის განმავლობაში მათთან ერთად სქურის ტყეში იყო გახიზნული და მთელი შემართებით ებრძოდა საქართველოს მტრებს. მას მთელი ქვეყნის მასშტაბით ეძებდნენ „მხედრობელები“ და ათასი ჯურის ბანდები. იგი ფარულად სლავასა და გიორგის ოჯახებშიც იმყოფებოდა.

მკითხველს შევახსენებთ, თუ რატომ სწყუროდათ მისი სისხ-

რიელ ისაკაძეს საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა. დროის ჩამოგდების შემდეგ, მართალია, გაბო დაიჭირეს და სუკ-ის ჯურღმულებში ჩააგდეს, მაგრამ მაშინ ეროვნულმა მოძრაობამ უშველა და რამოდენიმე თვეში გაანთავისუფლეს. თუმცა მტრებს გულში ბინძურ ბოლმად ჩარჩათ მისი ნამოქმედარი და ორჯონიკიძე-მხარაძის სულიერი მემკვიდრეები უკეთეს მომენტს დაელოდნენ მასთან საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად...

...და აი დადგა ის დღეც. ჩვენ არ გვინდოდა მისი თბილისში გაშვება, რადგან გუმანიტარული ვგრძობდით რალაც ცუდის მოახლოებას, - აგრძელებდა თხრობას გიორგი, - გაბო აქეთ გვამშვიდებდა, ნუ გემინიათ, ორიოდ დღეში დაგზრუნდებით ისევე. ჩვენც უარი ვერ ვუთხარით მშობლებისა და ცოლ-შვილის ნახვას დანატრებულ კაცსაო.

სწორედ თბილისში ელოდნენ მას ჩასაფრებული არაკაცები... ..შეუპყრიათ, ლისის ტბაზე აუყვანიათ და თითხმეტი ტყვედ დაუცხრილავთ გაბრიელ ისაკაძე სამეგრელოს ჯალათის — ჯაბა იოსელიანის „ვაჭკაცებს“.

31 დეკემბერს, გაბრიელის ნამებული ცხედარი ოჯახში მიუსვენეს ცნობილ ქართველ მწერალსა და პოეტს, ვაჭა-ფშაველას პრემიის ლაურეატს — ქიშვარდ

ები გაიხსენა. როცა ვერაგულად მოკლული შვილის ცხედარი სენაკიდან ჩამოასვენეს, ზღვა ხალხი მოაწყდა სლავას ოჯახს. დიდ-პატარა ყველა ტიროდა და უდიდესი გულისტკივილით აღნიშნავდა სლავას საოცარ კაცთმოყვარეობას, ადამიანურობას, პუმანურობას...

სლავას დედამ შვილის დაკრძალვის მერე, მისი დაცხრილული ტანსაცმლის ჯიბეში შემთხვევით აღმოაჩინა ქალაღზე დაწერილი ლექსის კუპლეტი:

სლავა!
მეგრელის და სვანის შვილო,
ხარ გვარდიის ღვიძლი
შვილიც;
ჩემით, შენით, ჩვენი ანი
ჩვენ აღთქმული მიზნით!
ვივლით!..
ჩოქო ცხაკაია

გიორგი ყურადღებით გაეცნო გაზეთში გამოქვეყნებულ ეკას წერილს. მერე სურათს დააკვირდა, სადაც სლავა ჩხვიმიანი შემართული მზერითა და იარაღით ნალენჯისის მიტინგზე მტკიცედ დგას პრეზიდენტის დასაცავად. გიორგიმ პრეზიდენტის გარშემო შემოკრებილ დამცველთაგან თითქმის ყველა ამოიცნო. მე ჩავინიშნე მათი სახელები და გიორგის მადლობა მოვახსენე. ვეთანხმები მწერალ თამაზ ფი-

სად შინდისფერით ირთვება მარტი...

აქ უნდა იდგეს მთელი იბერი, თეთრი ნაბდებით, თეთრი ქუდებით, უნდა ისმოდეს გმირთა ლაშქრული, ხმათა ჭექით და აგუგუნებით! აქ უნდა იდგეს ერი და ბერი, ცას ალურჯებდეს ფრთები ფრთოსნების, უნდა ისმოდეს ლაზარეს ენა, ენა, ქართული პატიოსნების! აქ უნდა იდგეს ყრმა და მოზუცი, ქალწული სამი, ტურფა მშვენიების, უნდა ისმოდეს ხმალია მუქარა, გორგასალის და აღმაშენებლის! აქ უნდა იდგეს ტაძარი მშვიდი, სათნო ფრესკებით, რწმენის ხატებით, უნდა მღეროდეს ვაზის ყვავილთან ჩუქურთმა ქართულ გამონათებით! აქ უნდა იდგნენ ქართლის მეგონები, ქურუმნი ჩვენი სიტყვის ბალისა, უნდა ისმოდეს ლულუნი მტრედის და ტკბილი მღერა იავნანისა! აქ უნდა იდგნენ კოლხური კოშკის მეციხოვნენი, ძენი აპრილის, უნდა მღეროდეს დედათა გუნდი და სისუტეკე თეთრი მანდილის! აქ უნდა იდგნენ ძმადნაფიცები, ლალი კავკასის შმაგი ბოკვრები, აქ უნდა იდგნენ ვინახები, ჩვენი მოკეთე, ჩვენი მოყვრები! აქ უნდა იდგეს წმინდა გიორგი, იფატრებოდეს შუქით წყვილი, აქ უნდა იდგნენ ჩვენი გმირები, ჩვენი მერაბი, ჩვენი ზვიადი! აქ უნდა ვიდგეთ ხელში დროშებით, სადაც ჩუხჩუხებს სისხლი ქართული, სად შინდისფერით ირთვება მარტი, წმინდანთა ჯვარით შუბლმონათლული. აქ უნდა ვიდგეთ, სად ხარობს გული, სად უკვდავების წმინდა ფესვი დევს და ქუდმობილი ვეგებულოდეთ ქართველი ერის პირველ პრეზიდენტს! **ირინე ტალიაშვილი.**

მოსწავლის შემოქმედება



რედაქციისაგან: ნალენჯისის №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ გვანცა კვარაცხელიამ წინამდებარე ნაშრომი მოამზადა რესპუბლიკური კონკურსისათვის.

თემა დამუშავდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თამარ კვარაცხელიას უშუალო ხელმძღვანელობით. მასალების მოძიებაში გვანცას დახმარება აღმოუჩინა ამაგდარმა ქალბატონმა თამარ შანავამ და ერის კულტურული ტრადიციების ქომავლა პაატა კვარაცხელიამ.

ვუსურვოთ ნიჭიერ მოსწავლეს, გვანცა კვარაცხელიას წარმატებები!

ტრადიციული ქორნილი სამეგრელოში

* * *

ჩვენს ხალხში უხსოვარი დროიდან არის დამკვიდრებული უძველესი ადათ-წესები, თუმცა ყოველივე ეს ალაგ-ალაგ თუ შემორჩენილი, რაც კი შემორჩა ისიც ჩვენი უხუცესების დამსახურებაა, რომლებიც ასე უფროსობისადაც თავიანთ ადათ-წესებს. ცდილობენ ხელი შეუშალონ მათ დაგიწყებას და თავიანთ მონაყოლს თაობიდან თაობას გადასცემენ.

მე მოგიყვებით ძველი დროის ქორნილზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ქორნილის წინა პროცესები სრული დაცვით, პირველ რიგში, სამეგრელოში ქალ-ვაჟის დაქორწინება ხდება მკაცრად განსაზღვრული წესებით, რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოეჩვენოს დღევანდელ თაობას. ოჯახის შექმნაში გადაწყვეტი იყო მშობლების აზრი, ვისაც კი აირჩევდა დედ-მამა, ჯვარსაც მასზე იწერდნენ შვილები. თუმცა წესების დაცვით ვერ ხდებოდა ოჯახების გაცნობა საგულდაგულოდ. ამ საქმეში მთავარი როლი ეკისრებოდა „შუაკაცებს“ ანუ „მარებლებს“, ამისათვის კი ისინი იღებდნენ გასამრჯელოს. ცხადია, რომ არ შეიძლებოდა ერთი გვარის ქალ-ვაჟის შეუღლება, არც დედის გვარის ქალისა და ვაჟისა. თავს იკავებდნენ ერთი სოფლის ან ხატის სხვა გვარის ქალ-ვაჟის შეუღლებაზეც. უფრო უკეთესი და სასურველი იყო, თუ ქალი გათხოვდებოდა სხვა სოფელში. მეგრელები იტყოდნენ ხოლმე „ვაშინერს“. „ვაშინერს“ ნიშნავს აკრძალვას იმისა, რისი გაკეთებაც და ხსენებაც არ შეიძლებოდა. მეგრელებს ეწინააღმდეგებოდათ ამ სიტყვის და მკაცრად იცავდნენ ამ წესს.

ოჯახიდან ჯერ ათხოვდნენ უფროს ქალს, შემდეგ კი რიგის მიხედვით. ასევე იყო ვაჟიშვილების დროსაც. უფროსები ხშირად დაუქორწინებლები რჩებოდნენ, რადგან ელოდებოდნენ უმცროსების გასტუმრებას.

სამეგრელოში ბავშვობიდანვე ნიშნავდნენ ქალ-ვაჟს. აკვნებს ერთი-მეორის გვერდით დგამდნენ, გოგოს აკვანს ჩამოკიდებდნენ რაინე სამკაულს.

„გინოძირაფა“

მშობლების, ოჯახის წევრების და შუამავლების თანხლებით მიდიოდნენ, ამ პროცესს „გინოძირაფა“ ეწოდებოდა. ეს მიდიოდა ღამით, ისე რომ ხალხს არ ვაგეო, რადგან დაწინებისას ქალს სახელი უტყდებოდა. ამას ამიტომაც ფარულად აწყობდნენ. ქალის ოჯახში, როცა მიდიოდნენ, მშობლებს მიჰყავდათ ვაჟის ბებიის აზრი და ხელს მნიშვნელოვანი იყო. შეხვედრას ყოველმხრივ ეცნობოდნენ ერთმანეთს, თუ მოეწონებოდათ ერთმანეთი, იშლებოდა სუფრა. იყო გადაძახ-გადმოძახება და ერთი ამბები, თუ პირიქით მოხდებოდა, ვაჟის მშობლები უკან ბრუნდებოდნენ.

ჯვრისწერა

ჯვრისწერა ეწყობოდა ვაჟის სოფელში პირველ ჯერზე. ამას მოყვებოდა მთელი რიგი წესების დაცვა. ქალის წამოსაყვანად მიდიოდა მამა ან ბიძა მაცურებითურთ, როცა მივიდოდნენ იშლებოდა ქალის ოჯახში სუფრა, რომელზეც პატარძალი იყო წარდგენილი. იგი არ ეჩვენებოდა სასიძოს და მის მაცურებს. პატარძალს ჩააცმევდნენ ტრადიციულ სამოსს, თავპირზე ჩამოაფარებდნენ საბურველს და ისე გამოჰყავდათ. ასე მორთულ პატარძალს თავისი დადე-მაცურები ახლდა. პატარძლისა და სასიძოს მაცურები გაემართებოდნენ ვაჟის სოფლისაკენ, სადაც ჯვარი უნდა დაენერათ

ნეფე-დედოფალს. ამ დანიშნულების ადგილას დახვდებოდა სასიძო თავისი მეგობრებით და მაცურებით, შემდეგ ყველანი ერთად გაემართებოდნენ ეკლესიაში. თუ ეკლესია შორი-ახლოს არ იყო, მარანში ხდებოდა ჯვრისწერა, საეკლესიო წესების დაცვით. მღვდელი დასწერდა ჯვარს, თავზე დაადგამდა გვირგვინს. ორივენი შესვამდნენ სასმისს, რომელსაც თავზე გადაავლებდნენ. როცა მორჩებოდა ეს რიტუალი, პირბადეს გაუკეთებდნენ პატარძალს, თუ ეკლესიაში ჯვრისწერა ტარდებოდა, გამოსვლისთანავე გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ გაატარებდნენ. მერე კი ეკლესიიდან „უჩხიბდებიანერს“ სიმღერით აცილებდნენ. სანამ პატარძალი და ნეფე მიიღწევდნენ სახლამდე, წინ მახარობელი გაასწრებდა და ეზოში შევიდოდა სროლით, გაისმოდა ომახიანის ხმა - „გამხიარულდით ოჯახო, ნეფე-პატარძალი მოდისო.“ ამის თქმა და მაცურისა გამოჩნდებოდა მალე. ნეფე-დედოფალს სახლში შეეგებებოდა ვაჟის დედა, დალოცავდა ორივეს და აჭმევდა რაიმე ტკბილეს, დააღვინებდა წყალსაც. ნეფე ამ დროს კარებთან დამხობილ თევშს ფეხს დაარტყამდა და გატყავდა. დედოფალი კი კარებთან დადგმულ ღვინით სავსე ჭიქას ნააქცევად და მარჯვენა ფეხს შედგამდა სახლში.

პატარძალს ხელში მისცემდნენ ღობის მარცვლებით სავსე ჯახს, რომლის შუაგულში იდო ერთი ცალი კვერცი. პატარძალი შემოუვლიდა სახლს და მიმოყრიდა ირგვლივ. მაცურები და ვაჟის დედა უკან მიყვებოდნენ, დედათილი ლოცავდა; „ჯგირ ნერჩიშ ქოჯოფედა“. (კარგი ფუძისა ყოფილიყავიო), მერე პატარძალს დასვამდნენ სკამზე, ხელში ჩაჭაპურს მისცემდნენ და კალთაში ბიჭს ჩაუგორებდნენ. ამით სწამდათ, რომ პირველი შვილი ვაჟი ყოვლობდათ. ეს რწმენა თითქმის დღევანდლამდე შემორჩენილი.

სუფრა

საინტერესოა, როგორ გრძელდებოდა საქორნილო სუფრა. ზოგჯერ, თურმე იცოდნენ დიდი ქორნილი. ამისთვის საჭირო იყო „სეფა“. ძველი ტრადიციის მიხედვით „სეფაში“ ქალები და კაცები ცალ-ცალკე ისხდნენ. დადე და პატარძალი პირველად გამოჩნდებოდნენ თავიანთი მაცურებით. დადე თურმე მეჯვარე ყოფილა. მისი მოვალეობა იყო ნეფე-დედოფლის მომსახურება. პატარძალს სახეზე საბურველი ჰქონდა ჩამოფარებული, მას მაშინ ხდიდნენ, როცა მზითევს ამოალაგებდნენ. თუ დედოფალს მოეწონებოდა, მაშინ გაიღიმებდა. მისი კმაყოფილების, სიხარულის ნიშნად თოფს ისროდნენ. ამ დროს გამოჩნდებოდა სიძე, რომელიც დაიკავებდა თავის ადგილს პატარძლის გვერდით. ირჩევდნენ თამადას და იწყებოდა საქორნილო სუფრა. უხსოვარი დროიდან ატანდნენ მზითევს პატარძალს, რათა ახალ ოჯახში ნელ-გამართულად ევლო და თავი სრულყოფილად ეგრძნო. იწყებოდა ღვინის, ღვინის სმა, სიმღერები, ცეკვები, საარშიყო ლექსები. შაირობდნენ და ამ შაირობაში იმარჯვებდა ის მხარე, რომელიც უკეთესად იცეკვებდა და იმღერებდა.

პატარძალი შეუდგებოდა ოჯახურ ცხოვრებას, ის ვერ უბედავდა დედათილს და მამათილს სახელის დაძახებას და მოიხსენიებდა და მიმართავდა, როგორც დედა, მამა.

სამწუხაროდ, ამ ჩვეულებიდან ცოტა რამ შემორჩა და ჩვენც უნდა შევეცადოთ, რომ მომავალმა თაობებმა არ დაივიწყონ ეს ტრადიციები.

ნალენჯისის ბრძოლის მონაწილეთა ნაამბობი:


ანზორ შონია:

ბევრი ისეთი რამ გადამხდა, აწი იმით ხელში ჩავარდნას არ ვაპირებ, შევკავდე და ის იქნება, არც ჩემს ვინაობას დავმაღავ... პრეზიდენტის ერთგული ვიყავი თავიდანვე და ასეც დავრჩი.

6 ივლისს, დილით მეც ინტერნატზე თავდასხმელებს შორის უნდა ვყოფილიყავი. ტყეში გავითენე და გამთენიისას მდინარე ჭანისწყალი ნალენჯისის ბაზრის მახლობლად გავტოვე. უკვე საშინელი სროლა იყო ჩემდათავად იარაღად ნაღმსატყორცი და ოთხი ნაღმი მქონდა. მიუახლოვდი ინტერნატის შენობას და ორი ნაღმი დავახალე... ამ დროს ვერტმფრენი მოფრინდა და დაბომბვა დაიწყო. ნიშანში ამოვიღე - ორად გავაპობდი, მაგრამ მითხრეს: მაგან ჩვენი საქმე გააკეთა - თავისიანებს დაარტყაო. დარჩენილი ორი ნაღმიც ინტერნატის შენობას ვესროლე და ფაქტიურად დავრჩი უიარაღოდ, შეტევა კი საჭირო იყო. ჩვენთან ერთად იყვნენ ჯ. ქობალიას რაზმელები. ჯემალს რჩევა ვკითხე. მან თქვა: ყველანი შევიკრიბოთ და შენობა მტურმით ავილოთო.

ინტერნატის მახლობლად მეორე ჩაის ფაბრიკის ფურნეა. იქ იდგა ჩვენს მიერ „მხედრონელებისადმი“ წართმეული „ბეტეერი“ მიზნად დავისახე ეს „ბეტეერი“ მტურმისათვის გამომეყენებინა. ნავედი იქითკენ. თავიდან შეტევაზე, თითქოს ბევრი გადავებდით, მაგრამ გზადაგზა შევნიშნე, რომ უმეტესობა ჩამოგვრჩა და სულაც დამეკარგა თვალთახედვის არედა. მე მაინც განვაგრძე სვლა, „ბეტეერზე“ ასვლა მოვიწოდე და უცებ ვილაქეებმა ზურგში იარაღი მომბაჯინეს... გამიკვირდა, ჩვენიანები მეგონა... — ვინა ხარ, აქ რას აკეთებ!

— საცხოვრებელი ბინიდან გამოვედი და სამშვიდობოს გასვლა მინდა, — თავი ვიმართლე ნირნამხდარმა, რადგან მივხვდი, რომ მოწინააღმდეგის ხელში ჩავვარდი. მაშინვე ინტერნატში შემივანეს, გამჩხრიკეს, დანა მქონდა და ვილაქამ ისე ამართვა, არც რაიმე უთქვამს ამის გამო. ომონის ხალხი ყოფილიყო. ჩემთან შემოიყვანეს ბადრი ზარქუაძე. დაახლოებით ნახევარ საათს ფიზიკურად არ შეგვებთან, ალბათ, ჯრიაც ეჭვობდნენ ბრძოლის სასწორის საით გადაიხრებოდა. მერე კი მკვდრების გვერდით მიგვანვიხი და ჩვენც გვკლავდნენ. დაგვცხეს, ზოგი რკინის მილს გვირტყამდა, ზოგი კონდახს და ზედმეტი გულმოდგინებისგან ერთმანეთს ხელსაც კი უშლიდნენ,



თორემ ისეთ გამეტებულ ცემას კაცი ვერ გაუძლებდა.

ზაზა ქირია:

ეროვნული გვარდიის წევრები 5 ივლისს სოფელ დარჩელში შევიკრიბეთ, იქიდან ჯისაშკარში გადავედით და სულ 80-მდე მებრძოლი (მეტნი არ ვიყავით!) 6 ივლისს უთენია შევედით ნალენჯისში. ორ ჯგუფს დავეალა, რომ დაეცვა ჩვენი ზურგი ზუგდიდიდან და ჩხროწყუდან მომავალ გზებზე. შეტევის წინ მეთაურმა ჯემალ ქობალიამ გამოგვიცხადა, რომ როცა ბრძოლაში ჩავებმებოდით, საჭიროების შემთხვევაში მაშხალის გასროლით მოცემულ ნიშანს ყველანი უნდა დავმორჩილებოდით და ბრძოლის ველს გავცლოდით. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, მოწინააღმდეგე გვეიძულებინა დაგვემორჩილებოდა და ამიტომაც მრავალი მხრიდან გავუხსენით ცეცხლი. მიზანს უთუოდ მივალწევდით, მაგრამ მოხდა გაუგებრობა, შეტევიდან ერთი-ორი საათის გასვლის შემდეგ ვილაქამ (რაც შემდგომშიც ვერ დადგინდა) გაისროლა მაშხალა. ერთი უცებ ბრძოლა შეწყდა და ყველამ უკან დავიხიეთ. ამ გაუგებრობამ მაშინვე წარმოშვა აზრთა უთანხმოება ჩვენს რიგებში და თითქმის გავნახევრდით, რადგან ერთმა ნაწილმა ბრძოლის ველი თვითნებურად მიატოვა. ჩვენ მაინც შეგვეძლო წარმატების მიღწევა, მაგრამ არ შესრულდა ტყვიანამლის მოტანის დაპირება, ზურგიც არ იქნა დაცული — ზუგდიდისა და ჩხროწყუს მხრიდან მოწინააღმდეგის დამხმარე ძალები შეუფერხებლად შემოვიდნენ ნალენჯისში, რაც არ უნდა მომხდარიყო. ამით, ჩვენ, მებრძოლები აშკარად გავგწირეს და ეს იყო ლალატი! სხვა სიტყვით ვერ გამოვხატავ რეალობას.

წინიდან: თამაზ ფიფია „ცოდვის კალო სამეგრელოში.“

31 მარტს 15 წელი სრულდება კანონიერებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი, დიდი ქართველი ვაჟკაცის — გოჩა ესებუას მუხანათური მკვლელობიდან.


სანთლად აინთებს! (გოჩა ესებუას ნათელ ხსოვნას)

რადგან ლალატის ქარები ჰქრიან, ფრიალებს ისევ იუდას დროშა, — ვერ შეურიგდი ბედს მუხთალს, ტიალს, სულით ძლიერი აღმოჩნდი, გოჩა!

რადგან იყავი სიმართლის მაცნე, ვერ აიტანე უკანონობა, — ჯისაშკარიდან მსოფლიოს ამცნე, რომ ქართველობას არ სურს მონობა!

ონარიში მკვლელებს რომ უხმეს, მაშინ გავარდა ლალატის ტყვია, — გამთენიისას შენ ჩაიმუხლე, რაინდო, როგორც შენმა ძმამ გაიმ!

თუმცა გამყარდა ბნელით უკვე, კოლხი მაინც არ გადაგვარდება, — და საქართველოს მოიცლის ღრუბელს, უსამართლობა დასამარდება!



ჩვენი იმედი — ჩვენი თაობა შენს რაინდობას სწორად გაიგებს, — და მადლიერი შთამომავლობაც შენს უკვდავ ხსოვნას სანთლად აინთებს!..

ვალერი ძაძამია 31 მარტი, 1999 წ.

იუბილე მედეა კაკაჩია — 60



„შხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.“ — ხშირად გამიგონია დედის კაცისაგან, რომელიც დღეს იუბილარია და მას 60 წელი შეუსრულდა.

გილოცავ დედა. დროისა და ბედუკულობის წყალობით დანაოჭებული შენი ღაწვები, ჩემი სიამაყეა. შენ ჩემი ცხოვრების დიდი წიგნი ხარ წინ გადაშლილი, რომელსაც ვცდილობ ნაკვიკითხო და მივბაძო, თუმცა ძნელი ყოფილა, მაგრამ ერთი იმედი მაქვს: „სადაც შევარდენი ბუდობს, იქ მწყერი ვერ გაიხარებსო.“

ზოგი კაცი წინ სარკეა, უკან სამართებული, შენ კი ჩემთვის დღევანდელი სიტყვა ხარ, ხვალისთვის ხიდად გადებული, ჩვეულებრივი დილა ხარ, საღამომდე სიბრძნე ქცეული, დამტკნარი ვარდი ხარ, ჭინჭრის ბევრად მჯობნი და ბოლოს დროის მეფე ხარ, ხანის დამბერებელი. დედიკო, უზომოდ მიყვარხარ და მინდა ქედი მოვიხარო შენს წინაშე, მინდა შენს სიბრძნეს კიდევ დიდხანს ვეზიარო, მინდა კიდევ დიდხანს იყო ჩემი სახლის

დედაბოძი და ბოლომდის გავიჭედო, რომ ცეცხლმა ვერაფერი დამაკლოს.

60 წელი შეგისრულდა ძვირფასო. დაიზამთრა მწყაზარმა შუბლმა, მაგრამ შენ უკვე ვალმოხდილი ხარ ოჯახის, საზოგადოებისა და მოზარდების წინაშე. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა გულშია შენდამი სიყვარულმა ღრმად გაიდგა ფესვები. მინდა დიდხანს იარო ჩვენი „ცხოვრების მასწავლებლად“.

ჩვენი ოჯახის წევრების სახელით, შენი პატარა შვილიშვილის სახელით მინდა დიდხანს სიცოცხლე გისურვო და მოგეფერო. მინდა განუგეო ჩემო სიამაყე: — ხე ერთი შემოკვრით არ ნაიქცევა და მახათს მჯილი არ შემოეკვრება. შენ ის დიაცი ხარ, რომლის კაცს საგზალი არ სჭირდება. შენ ჩემი მეგობარი ხარ!

დედა

დედა სინათლის დიდი ხიდა, დედის გარეშე შვილი ვერ

ცოცხლობს, დედა სამშობლოს დიდი გმირია; ალერსს დედისას ის ვერ აფასებს, ვის თვალეშია დიდი ბინდია.

დედის დიდ შრომას და დედის ამბავს, შვილები მაინც ვერ დაითვლიან. დედა აგზავნის შვილებს საომრად, არ ენანება სიკვდილისათვის, შვილთან დაჰქრია დედის

ფიქრები... დედა მტრის შვილზეც ჩუმად

ლოცულობს, რადგანაც ესმის მშობლის ტკივილი, არ ძალუძს დედას — იყოს

გულგრილი. ჩვენ მუდამ გვყავდა გმირი დედები!..

მამულს შესწირეს გმირი შვილები!.. უფალმა ნუ ქნას — დასტიროს

დედამ შვილს... და ამიტომ არის

მთავარი: რომ გავუფრთხილდეთ

სამშობლოს ჩვენსას

და დავაფასოთ გმირი დედები!..

თამუნა კაკაჩია

* * *

მედეა კაკაჩია დაიბადა 1952 წლის 9 დეკემბერს ნალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში.

დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

1975 წლიდან მუშაობს ინყებს ობუჯის ლ. ქიაჩელის სახელობის საშუალო სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად.

1994 წელს დაინიშნა დირექტორის მოადგილედ აღმზრდელი მუშაობის დარგში. 2011 წლის ივლისიდან 2012 წლის თებერვლამდე ობუჯის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია.

მედეა კაკაჩიას მშობლები — ნარგიზა კოპლატაძე და მამია კაკაჩია საზოგადოებაში ცნობილი და დაფასებული ადამიანებია.

ქალბატონ მედეას 1992 წელს საშინელი ტრაგედია დაატყდა თავს — დაეღუპა შვილი — გვანცა მოლაშხია, რომელიც მისი და ოჯახის მოუშუშებელი ტკივილია...

დროის დინება შეუქცევადია... მედეას უფროსმა ქალიშვილმა გურანდა მოლაშხიამ მშვენიერი ოჯახი შექმნა გიორგი მოსიძესთან ერთად, ახლა ისინი მამულს უზრდიან პატარა ვაჟკაცს — ლუკა მოსიძეს, რომელიც ბებიასათვის დიდი სიხარულისა და ბედნიერების მიმნიჭებელია...

P.S. ობუჯის საჯარო სკოლის პედოლოგიური უერთდება მილოცვას და იუბილარს უსურვებს მტკიცე ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში!

გულოცავთ!



რუსუდან შონიას და ლუბუმ ზარქუას ჭეშმარიტად ტრადიციული, ქართული ოჯახის შექმნას!

ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, ოჯახურ ბედნიერებას, უღვე სიხარულს, ზღვა სიყვარულს, შვილთა სიმრავლეს და დიდ წარმატებებს დედასამშობლოს სადიდებლად!

გეცხოვროთ ჭეშმარიტად ერთიან და თავისუფალ საქართველოში!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრები: ნონა ჭითანავა, ელდარ ჭითანავა, ვალერი ძაძამია.

ყორალ, გობიტა!



გოგიტა ვეფხიას ძე კაკაჩია დაიბადა 1994 წლის 1 სექტემბერს ნალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში.

ობუჯის გიორგი მეტონიას სახელობის №1 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელია.

გოგიტა კაკაჩია წარმატებებს კარატეში (გოჯურით სტილი) თავდაუზოგავი შრომითა და ნიჭის წყალობით მიაღწია.

მისი გამარჯვების გზის ეტაპები ასე გამოიყურება:

2010 წელი — თბილისი, საქართველოს ღია ჩემპიონატი: I ადგილი და ოქროს მედალი;

2011 წელი — თბილისი, საქართველოს ღია ჩემპიონატი: I ადგილი და ოქროს მედალი;

2011 წელი — თბილისი, საქართველოს ღია ჩემპიონატი: I ადგილი და ოქროს მედალი;

2012 წელი ოდესა, უკრაინა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი: II ადგილი და ვერცხლის მედალი.

გოგიტა კაკაჩია არის მწვანე ქამრის VI დანი, ყავისფერი ქამრის III დანი და შავი ქამრის I დანი მფლობელი.

უდავოა, ობუჯს მისი სახით მომავალი დიდი სპორტსმენი ეზრდება!

გულოცავთ ნიჭიერ ახალგაზრდას შთამბეჭდავ წარმატებებს და ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, ზღვა სიყვარულს, სიხარულს, ბედნიერებას და მორიგ დიდ წარმატებებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს სადიდებლად!

ვ. ძაძამია.

მოქმეთა სისხლი ცაში ღმერთს შესრუხუხუხებს და სამართალს ითხოვს...



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოვინური“ №3,5,8,9,15,20,21;)

171. ლალი მაისურაძე — პრეზიდენტის პირადი მდივანი. დაიბადა 1969 წელს რაჭაში. 1992 წლის 6 აპრილს ნალენჯიხის რაიონის კურორტ სქურში ვერტმფრენიდან ნასროლი ტყვიებით ჩაცხრილეს „მხედრიონელებმა“ ავტომანქანაში.

172. რევაზ ბროძელი — დაიბადა თბილისში 1951 წელს. პელსინკის კავშირის წევრი. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1992 წლის 24 ივნისს თბილისში, ტელევიზიის შენობაში.

173. ემზარ ლომთაძე — დაიბადა 1970 წელს თბილისში. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1992 წლის 6 იანვარს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

174. გოგი გაბროშვილი — დაი-

ბადა 1973 წელს თბილისში. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1992 წლის 6 იანვარს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

175. ვალიკო ყაღვიშვილი — დაიბადა 1956 წელს თბილისში. წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1992 წლის 6 იანვარს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

176. კონსტანტინე კურდელია — დაიბადა 1948 წელს სენაკში. დაიღუპა 1992 წლის 6 იანვარს თბილისში, მთავრობის სახლის დაცვისას.

177. პაატა ყურნუა — დაიბადა 1969 წელს ზუგდიდში. დაიღუპა 1991 წლის 27 მარტს სამაჩაბლოში.

178. ჯანო რაფავა — დაიბადა 1950 წელს ზუგდიდში. დაიღუპა 1991 წლის 27 მარტს სამაჩაბლოში.

179. რომან ბენდელიანი — დაიბადა 1970 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში. დაიღუპა 1991 წლის 27 მარტს სამაჩაბლოში.

180. ვოვა ვეკუა — დაიბადა 1949 წელს ზუგდიდში. მოკლეს 1989 წლის 15 ივლისს აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმში.

181. ირაკლი ყვანია — დაიბადა 1973 წელს ზუგდიდში. დაიღუპა 1992 წლის 22 დეკემბერს თბილისში.

182. გონერ შენგელია — დაიბადა 1957 წელს გალში. მოკლეს 1989 წლის 15 ივლისს აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმში.

183. მამუკა არაბიძე — დაიბადა 1966 წელს ზესტაფონში. ზესტაფონის ბატალიონის უფროსი.

დაიღუპა „მხედრიონთან“ შეტაკებისას 1993 წლის 20 ოქტომბერს სამტრედიიაში.

184. ანზორ გოგოლაძე — დაიბადა 1958 წელს სამტრედიიაში. მოკლეს თ. კიტოვანის „გვარდიელებმა“ 1992 წლის 3 იანვარს თბილისში, მიტინგის დარბევისას.

185. თენგიზ (კიროკი) ბულია — დაიბადა 1956 წელს ზუგდიდში. სადისტური წამებით მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1993 წლის 4 ნოემბერს ხობის მისადგომებთან.

186. დავით ლოლაძე — დაიბადა 1966 წელს თბილისში. მოკლეს 1993 წლის 13 ივნისს თბილისში.

187. ავთო ჯალალონია — დაიბადა 1964 წელს ზუგდიდში. დაიღუპა 1993 წლის 5 ოქტომბერს „მხედრიონთან“ შეტაკებისას ფოთში.

188. რეზო შანავა — დაიბადა 1953 წელს ნალენჯიხაში. წამებით მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1993 წლის 1 დეკემბერს ხონში.

189. ალესანდრე კვარაცხელია — დაიბადა 1944 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში. მოკლეს „მხედრიონელებმა“ 1993 წლის 2 ნოემბერს სენაკის მისადგომებთან.

190. კახა ბართია — დაიბადა 1978 წლის 27 ოქტომბერს მარტვილში. დაიღუპა 1993 წლის 10 ოქტომბერს, ბომბდამშენის მიერ მარტვილის დაბომბვისას.


191. ჯამბულ სოსელია — დაიბადა 1964 წელს ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში. დაიღუპა 1993 წლის 24 ოქტომბერს სენაკის მისადგომებთან.

მომზადდა ვალერი ძაძამიამ. (გაგრძელება იქნება).

უკვდავია ის ადამიანი, ვისზე-
დაც იტყვიან; მის ცხოვრებას ფუ-
ჭად არ ჩაუვლიაო და სწორედ ასე
ამბობს ყველა, ვინც კი იცნობდა
კაცურ კაცს, სულითა და გულით
ქართველს, უღალატო, საქმის
ერთგულ პიროვნებას, მურმან
ვალერიანის ძე ფიფიას, რომლის
ფესვებიც ობუჯში იყო.

იგი 1948 წელს დაიბადა ზუგ-
დიდში, ლამაზ, ტრადიციულ
ოჯახში. 1965 წელს ოქროს მე-
დალზე დაამთავრა მეცხრე სა-
შუალო სკოლა და სწავლა გა-
აგრძელა კახანის სახელმწიფო
უნივერსიტეტში სამშენებლო
ფაკულტეტის დაუსწრებელ გან-
ყოფილებაზე. სწავლობდა და თან

ზობლების, არამედ კოლეგების,
ახალგაზრდების, ზოგადად ადა-
მიანთა უსაზღვრო სიყვარული.
დაუშურველად უმართავდა ხელს
გაჭირვებულს, ავადმყოფს, სწავ-
ლამონყურებულს, არაერთმა
ახალგაზრდამ მიიღო განათლება
მისი მხარდაჭერით, მეცენატობ-
და სპორტსმენებს. სიცოცხლის
ბოლო წლებში ააშენა და ხელმძ-
ღვანელობდა კარბიშვილის სახე-
ლობის ტენისის აკადემიას.
შვილებიც, ნატო და თეონა
მამისეული თვისებების
მატარებლები არიან. ორივემ
ამერიკაში მიიღო უმაღლესი
განათლება, იქვე შექმნეს ოჯახები
მამუკა მურჯიკნელთან და რაიან



მურმან ფიფიას ბახსენება

მუშად მუშაობდა კახანის ერთ-
ერთ გამორჩეულ, უდიდეს, მეხუ-
თე სამშენებლო ტრესტში. შრო-
მისმოყვარე, სწავლას დანაფებუ-
ლი ახალგაზრდა შეუმჩნეველი არ
დარჩენილა და დაიწყო აღმა სვლა
კარიერულ კიბეზე. მალე ტრეს-
ტის ინჟინერი, მთავარი ინჟინე-
რი, მმართველის მოადგილე და
ბოლოს მმართველიც გახდა. მისი
ხელმძღვანელობითაა აშენებული
არა ერთი საცხოვრებელი სახლი,
სკოლა, კულტურის სასახლეები და
სპორტდარბაზები თათრეთში.

მურმანს კოლეგებს შორის გა-
მორჩევიდა მრავალმხრივი ნიჭი,
მეცნიერების არა ერთი დარგის
ერთდროულად და თითქმის თა-
ნაბრად ფლობის უნარი. იყო შესა-
ნიშნავი მურმანის, თავისიპროფესი-
ის უზადოდ მცოდნე, ინიციატივი-
ანი, სამართლიანი, პრინციპული,
ზედმინევიანი ფლობდა სანტიქ-
ნიკას, ღრმად იცნობდა ქართულ
და რუსულ ლიტერატურას, მე-
დიცინას, რელიგიას. ეამყებოდა,
რომ მღვდლის შვილიშვილი იყო.
განსაკუთრებით ესათუთებოდა
ეკლესია-მონასტრებს, ხატებს.
ლომის წილი დაიდო რაიფის ეკ-
ლესიის რესტავრაციაში, სადაც
ინახება მარიამ ღვთისმშობლის
სასწაულმოქმედი ქართული ხატი
და მურმანის სახელი სხვა ქველ-
მოქმედებთან ერთად ეკლესიის
კედელზე ამოტვიფრული.


მის გულში ეტეოდა არა მარტო
ახლობლების, მეგობრების, მე-

ჯონსონთან, იქვე მუშაობენ
პრესტიჟულ თანამდებობებზე.
შვილივით გაზარდა ადრე
დაობლებული დისშვილი
ირაკლი ბულია, რომელიც დღეს
აგრძელებს სახელოვანი ბიძის
საქმეს მურმანის მეუღლე ასმათ
პერტაიასთან ერთად.

უკურნებელმა სენმა შეინირა
კაცი, რომელიც დააკლდა
ყველა ახლობელსა და ნაცნობს,
დააკლდა მშობლიურ ზუგდიდს,
რომლის მიწამაც მიიბარა,
საქართველოს და მეორე
სამშობლოდ ქვეულ თათრეთის
რესპუბლიკას, კახანს, რომლის
საპატიო მოქალაქეც იყო 2012
წლიდან და იმავე წელს მიანიჭეს
„ყველაზე გულმონყაღე კაცი“
ტიტულიც. ეს ხომ ერთეულთა
ხვედრია, ქართველი, ემიგრანტი
კაცი, რუსეთში, ქალაქის საპატიო
მოქალაქე ხდება, მაგრამ მურმანს
იმდენი სიკეთე აქვს დათესილი,
რომ მადლიერმა კახანელებმა
ასე დააფასეს მისი ღვაწლი.

ადამიანი მანამ არ ითვლება
გარდაცვლილად, სანამ ამ
ქვეყნად ერთი პიროვნება მაინც
მოიგონებს, შესანდობარს იტყვის
და საფლავს მიაკითხავსო, ბატონ
მურმანს კი იმდენი ახლობელი
და მადლიერი ადამიანი დარჩა,
რომ ის მხოლოდ ფიზიკური
არსებობიდან მარადიულობაში
გადავიდა, ხსოვნა კი უკვდავი
დარჩა.

მანანა კაკაჩია.



„ვიყავი ბეთანიას, თავყანი ვეც თამარს!“
კონსტანტინე გამსახურდია.
1921 წ. 25 თებერვალი.

ოთარ ბელქანია

„იმ მოგონებას რა ვუთხრა, ტკივილს რომ ჩაუქოლია...“


აფხაზეთი

შავი ზღვის თავზე მზე
ანთებულა,
ნაპირს ფარავენ ლურჯი სხივები,
სად არ ვეძებდი, აქ შეკრებილან
ჩემი ოცნების ქარტყილები.
მარადიული გაზაფხულია,
სტუმრებს ელიან პალმის
წრდილები,
მშობლიურ მხარეს ეფერებიან,
შორიდან, მისი გამოზრდილები!
ნარინჯის ბაღში ლაჟვარდს
უმღერენ,
ფაფარაშლილი ხეთა მწკრივები
სიყრმის ნაკვალევს ვერ
პოულობენ,
ბედუკულმართი დროის ხიზნები.
შენი აჩრდილი თან დამსდევს
მუდამ,
სიყვარულს ხავსი არ ეკარება,
თუ გახლეჩილი სული შეერთდა
არ უნერია გადაგვარება.
ბიჭვინთის პარკში, მთვარიან
ღამით,
ორღანის ქვითინს ისმენს
თოლია,
რა დრო გასულა უშენოდ ჩემო,
ახალგაზრდობას ჩაუქოლია.
არ მინდა დარჩეს ეს მოგონებად,
ტკივილი ნამლით განიკურნება,

აფხაზეთია გულის ნაწილი,
მომნატრებია იქ დაბრუნება.

ბაბრა

გაგრასთან ცივი წყაროა,
ნაპირთან მწვანე მოლია,
ბალახზე დაგოგმანობენ
როჭო, კაკაბი, გნოლია.
მზე პალმის რტოზე შემოჯდა,
გარშემო ლურჯი ფონია,
ზღაპრად შობილი გარემო,
სამოთხის ბალი მგონია,
როცა ზღვის ტალღებს გაგვხედე,
ფიქრი მომტაცა თოლიამ,
ოცნებას ფრთები შეასხა,
დარდი თან ნაიყოლია.
შე ნალვლიანო ფრინველო!
ზღვის ზედაპირზე ქოლია!
იმ მოგონებას რა ვუთხრა,
ტკივილს რომ ჩაუქოლია.
სიომ შრიალით ჩამოჰკრა,
მწუხარე ზღვის სიმფონია,
ისე აჟღერდა ლაჟვარდი,
მოცარტი მონაგონია.
სწრაფად დამტოვა სიზმარმა,
ვერ გავიხსენე ნანახი,
რალაცას მწარედ ჩიოდა,
ემურის შმაგი კალმახი.
მინდა ცხადმაც ვიხილო,



ჩემი ნაცნობი თოლია,
ეს განშორების სიმძიმე,
მთელი შავი ზღვის ტოლია.

„ვეფხისტყაოსანს“

შთამომავლობის სავალი გზები,
დიდი წარსულის მადლით იგება,
მარადისობას მოარგო ფერი,
მუდამ მყარია მისი ღირსება.
რვა საუკუნის წმინდა სათელი,
გულს სიამაყის ალით ედება,
რა ძალამ შექმნა ასე ნათელი
და ღვთაებრივი შემოქმედება.
ქართული სიბრძნის გენური

კოდი,
საუკუნეთა ბაგე-რხეული,
აქ ხომ რითმების ძვირფასი ზოდი
ვეფხის ტყავშია გადახვეული.

1999 წ.



გუგე ცანავას

შავი ყორანი დასჩხავის ქალაქს,
და ცოდვის ტვირთი ადევს
ლოდებდა,
სულ ღია იყო შენთვის ჭიშკარი,
დღეს კი არავინ არ გელოდება.
გაჩენის დღიდან ასე მოდიხარ,
სამშობლოს ემზი გათრობს
ძალიან,
ეს ბედისწერის ნიშანი არის,
ან უკუღმართი დროის ბრალია.

არ გამიბრაზდე, მე თუკი ვიტყვი,
კვიცი მეტია, ზოგჯერ გვარზეო,
ლაკადის მთებიც მიდასტურებენ,
რომ გულში გედგა მთელი
სამზეო.

წმინდა გიორგის
შუბშემართული,
ურჩხულს ებრძოდი მაშინაც
გუგე,

როცა მაისის წვიმიან ღამეს,
თავისუფლება ვერ გადაბუგეს.
როცა გიხმობდა სასუფეველში,
გულთამხილავი სამყაროს

მწყემსი,
მარტო არ იყავ, თან მიგყვებოდა,
მარადუკვდავი გრანელის ლექსი.
არავინ იცის რას გაუწყებდა,
უკანასკნელი სიმღერა გედის,
ეს განწირულის ძახილი იყო,
თუ შერიგება სიკვდილთან

ბედის.
მგზნებარე სულის ანგელოზები,
იქ მოგანვდიან ღვთის ამანათებს,
ცხადად ქვეული სიყრმის

ოცნება,
შენს ეზოში, რომ შემოანათებს.
და თუ ისევ არ აყვავდებიან,
მიძინებული ნერგის ყლორტები,
მე ბედისწერას არჩევანს

არ ვთხოვ,
და შენებური ჟინით მოგვცედი.

ოთარ ბელქანია,
10 ივლისი 2012.

რაფიელ (ტუტუ) შენგელაიას მონატრება



რაფიელ შენგელაია მეუღლესთან ერთად

ჩემო უფროსო ძმაო რაფიელ!
როგორ მოგისწრაფა სიცოცხლე
ულმობელმა სიკვდილმა! ყვე-
ლასთვის მოულოდნელად განე-
რიდე წუთისოფელს, დაგვიტოვე
დიდი მწუხარება და შეუერთდი
ზეციურ საუფლოს. ისე მოულოდ-
ნელად მოხდა ყველაფერი, რომ
შენი გადარჩენა ვერავინ შეძლო...
მხოლოდ 62 წელი იცხოვრე ამქ-
ვეყნად. კარგი ოჯახის წინამძღო-

ლი იყავი. შვილებში დანერგე სი-
კეთე, სიმართლე და პატიოსნება.
იყავი მათთვის საამაყო მამა!

ოჯახთან ერთად ცხოვრობდი
ბიჭვინთაში. ცხოვრებაც მიდიო-
და ისე, როგორც შენ გეგნება და
ალბათ, ბოლომდე ასეც იქნებოდა,
რომ არა აფხაზეთში დატრიალე-
ბული უბედურება. შენმა ოჯახ-
მაც ინგნია აფხაზეთიდან დეე-
ნილთა ხვედრი. შემდეგ იძულე-
ბული გახდი სანკტ-პეტერბურგში
გამგზავრებულიყავი ოჯახთან
ერთად. იქ შენი ძმა რამინი გეგუ-
ლებოდა. რთული პერიოდი ედგა
ქვეყანას, მაგრამ თანდათანობით
შენი ოჯახის ცხოვრება ნევის-
პირა ქალაქში აენყო, შვილები
დაფრთიანდნენ, სკოლა წარმა-
ტებით დაამთავრეს და ასევე
წარმატებით გააგრძელეს სწავლა
უმაღლესშიც. დღე-დღეზე ახალ-
მოსახლეობაზე უნდა გეზეიმა და...
მოულოდნელად შენი გულისცე-
მა, სოჭში ყოფნისას, შენელდა,
სანკტ-პეტერბურგში კი შეწყდა...
ჩვენ ვერ შევძელით პეტერ-

ბურგში გამგზავრება, რათა შენი
უკვდავი ხსოვნისადმი უკანასკ-
ნელი პატივი მიგვეგო. მხოლოდ
შენს მშობლიურ შედაენერში შე-
ვიკრიბეთ და შენი მშობლების,
ძმისა და ძმისშვილის საფლავებ-
ზე ვლვარეთ გულწრფელი ცრემ-
ლები...


გვიჭირს უშენობა... უჭირთ შენს
საყვარელ შვილებსა და მეუღლეს
ასე უდროოდ შენი დაკარგვა.
ერთიანი სევდა-მწუხარება სად-
გურებს შენს დებსა და ძმებში,
სანათესაო-სამეგობროში...

ჩემო ძვირფასო ძმაო რაფიელ,
მართალია ასე უეცრად დაგვტო-
ვე და დაგვამწუხრე, მაგრამ შენი
კაცურ-კაცობა და სიკეთე, რომე-
ლიც ასე უხვად გქონდა მომად-
ლებული უფლისაგან, უცვლელი
დარჩა!

ღმერთმა ზეციურ საქარ-
ველოში ამყოფოს შენი ნათელი
სული!

მონატრებით,
ვალერი ძაძამია.

უფლის გზით მავალი



ბორის ძაძამია ათონის მთაზე (საბერძნეთი)

ნათქვამია: გახსენების მადლი განსაკუთრებული მადლია ამქვეყნად. სევდამ ცრემლი იცის, მწუხარებამ, — ტკივილი, დიდი ტკივილი... დრო ყველაფერს მკურნალობს, — ესეც ადამიანის ნათქვამია... ვერ გავითავისეთ...

ვის შეეძლო, თუნდაც წამიერად, წარმოედგინა, თუ რა ხედვებს გიმზადებდა ბედისწერა უფლის გზით მავალს, სიყვარულისა და სიკეთის მთესველს?!

მამიდაშვილის, (უფალმა ნათელში დაამკვიდროს) რაფიელ შენგელიას უეცარმა გარდაცვალებამ ყველა შეგვძრა. ზედა-ენურში, ოჯახთან ერთად დიდი მწუხარება გვიზიარებდა, ორმოც-ზეც ერთად ვიყავით. მერე გავიცარა რაღაც სამიოდე დღე და...

ჩემთვის (ალბათ სხვებისთვისაც) ძალზე ძვირი დასაჯერებელი გახდა ის, რაც შენ შეგამთხვა. ახლაც ვერ გავაცნობიერებ, რა იყო ეს: ბედისწერა, ტრაგედია, მოულოდნელობა, რაღაც შემთხვევა, გარემოება თუ... უფლის გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მალე ხილულ მასთანაა...

შენთან გამოსამშვიდობებლად ხალხი რომ მოვიდა, იმდენი, კარგა ხანია არ მინახავს... თურმე ყველგან გიცნობდნენ: მოსკოვში, პეტერბურგში, თბილისში, ქუთაისში, მარტვილში, სენაკში... ნალენჯისაშიც ყველა, — დიდ-პატარა გიცნობდა... რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ჩვენ არ გიცნობდით მხოლოდ... გიცნობდნენ, როგორც საყვარელ ადამიანს, კეთილს, სავეცხტო უბრალოს და უშუალოს, უფლის სიყვარულის მქადაგებელს!...

ყველას რომ ეიმედებოდი, ეს თუნდაც მამა თეიმურაზის სიტყვებიდან ჩანს, შენი დაკრძალვის შემდგომ დღეებში შენს ოჯახში რომ უთქვამს: ბორისი ჩვენი დიდი იმედი იყოო!... საოცარი ათონის მთის ერთად მონახულებასა და მოლოცვას მიმართავდა, რომელიც ქართველ მოღვაწეთა ტაძრებით, სალოცავებით და სააზროვნო საგანებებით არის დატვირთული!...

მჯერა, თუკი ჰპირდებოდი, აუცილებლად შეასრულებდი შენს დანაპირებს!... შენმა დისშვილმა, ნიჭიერმა და ზრდილმა ახალგაზრდამ — ირაკლი ხვიჩიამ ჩემთან საუბარში ასეთი რამ გაიხსენა: მამა ანტონის (ერისკაცობაში აშოტ კურგენიანი), რომლის მონაწილეობაც მოინანი ვი ნამოსული და უთქვამს, კარგი, თუ ნამოვიდა, აუცილებლად გამომივიღებოდა სენაკში... როცა ატირებულ დედას უთქვამს რა როგორ მოხდა, მეგობარს შენსას გულისგამგმირავი ხმით შეუცხადებია და ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ დედაშენი იქით ამშვიდებდა და ვერც ამშვიდებდა თურმე...

ჩვენ ალბათ, მომავალშიც ბევრ რამეს გავიგებთ შენი კეთილი საქმეების შესახებ... დაკრძალვის წინა დღეს, დაახლოებით საღამოს შვიდი საათისთვის გადაგასვენეს ნალენჯის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში, რომელიც ძლიერ გიყვარდა. ყოველ დღით ხომ იქ ადიოდი, მხურვალედ ლო-

კართული სარწმუნოებრივი და ლიტურჯული სკოლის ერთ-ერთი უდიდესი მნათობი — გიორგი მთაწმიდელი რომაადაცნაობის სამარადჟამოდ, ასევე, წმინდა მამა გრიგოლი, წმინდა ექვთიმე მთაწმიდელი და სხვანი... აი, იმ ათონის სავანეში გინდოდა საბოლოოდ დამკვიდრება!...

ათონზე, ბორისის სახელზე სანთლები აანთო მამა ანტონმა, — თქვა ვიღაცამ და მჯერა, ეს ასეც იქნებოდა!

იმ მწუხარე დღეებში გულწრფელი, ზღვა ცრემლები დაიღვარა... სკურის მამათა მონასტრიდან ბერებს თავლის სანთლები გამოუგზავნიათ... სანთლები ასევე აანთეს მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის ქართულ ტაძრებშიც...

ერთ საღამოს ზუგდიდიდან მოვიდა მწუხარე ქალბატონი თავის ქალიშვილთან ერთად. დიდხანს ტირილდნენ... განსაკუთრებით, მდულარე ცრემლები დაგაფრქვია იმ ქალიშვილმა... იქ მყოფნი ვერ მივხვდით, ვინ იყვნენ... ბოლოს გაირკვა: ნლების ნი ნომხდარა ეს ამბავი, რაც შენ არასოდეს გითქვამს, არც მშობლებისთვის, არც ჩვენთვის — სანქტ-პეტერბურგის ერთ-ერთ კლინიკაში მიიყვანეს პატარა გოგონა, რომლის სიცოცხლის შესანარჩუნებლად სასწრაფოდ სისხლის გადასხმა იყო საჭირო, თანაც დიდი რაოდენობით. მამის სისხლი უარყოფითი გამოდგა თურმე. უფლის ნებით შენც იქ ყოფილხარ და როგორც კი შეგიტყვია ეს ამბავი, დაუყოვნებლივ გითქვამს, თუ სისხლია საჭირო, რა პრობლემაა, ავერ არა ვარო!...

გოგონას სიცოცხლე გადარჩა!... აი, სწორედ ის გოგონა — სოფიკო ჩიქავა გადვირდა იმ მდულარე, გულწრფელ ცრემლებს იმ საღამოს... ერთი უცნობი, დიდად მწუხარე მამაკაცი ჩამოსულა ნოვოსიბირსკიდან, და უთქვამს: ჩემი შვილიშვილის ნათლია იყო ბორისი, დამირეკესო და როგორ არ უნდა ჩამოვსულიყავიო!...

შემდგომ დღეებში შენს ერთ-ერთ მეგობარს დაურეკავს შენი უბედური დედისათვის, საერთოდ არ სცოდნია შენი დედუბის ამბავი და უთხოვია, ბორისს დამალაპარაკეთო, დედაშენს უპასუხია: ბორია უკვე წავიდა! შენს მეგობარს ეგონა, თბილისში იყავი ნამოსული და უთქვამს, კარგი, თუ ნამოვიდა, აუცილებლად გამომივიღებოდა სენაკში... როცა ატირებულ დედას უთქვამს რა როგორ მოხდა, მეგობარს შენსას გულისგამგმირავი ხმით შეუცხადებია და ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ დედაშენი იქით ამშვიდებდა და ვერც ამშვიდებდა თურმე...

ჩვენ ალბათ, მომავალშიც ბევრ რამეს გავიგებთ შენი კეთილი საქმეების შესახებ... დაკრძალვის წინა დღეს, დაახლოებით საღამოს შვიდი საათისთვის გადაგასვენეს ნალენჯის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში, რომელიც ძლიერ გიყვარდა. ყოველ დღით ხომ იქ ადიოდი, მხურვალედ ლო-

კულობდი და უფალს ავედრებდი შენს სამშობლოს.

მთელი ღამე უფალს შესთხოვდნენ შენი უკვდავი სულის ნათელში დავანებას ფერისცვალების ტაძრის მამები მამა ანდრიას ნანამძღვრობით.

ზუგდიდიდან, თავის მრევლთან ერთად, ჩამოვიდა ზუგდიდის ვლაქერის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მალხაზ ჭანტურია. ასევე იყვნენ სასულიერო პირები თბილისიდან და ქუთაისიდან...

შენი სოხუმელი მეგობრებიდან ორს — ირაკლი გეგეჭკორს და რობერტ ცომაიას გამოვყოფდი. მართალია, ირაკლიმ ვერ მოახერხა ბელგიიდან ჩამოსვლა, მაგრამ 5000 დოლარი გამოგზავნა საფლავის ქვისა და ჯვარის დასადგმელად, დანარჩენი — დაკრძალვის, ორმოცისა და საფლავის მოწყობის ხარჯები საკუთარ თავზე რობერტ ცომაიამ აიღო.

რობერტი მოსკოვიდან ჩამოფრინდა და იმ დღეებში ჩვენს გვერდით იდგა. თავად ვნახე, თუ როგორ განიცდიდა რობერტი შენს ტრაგედიას. ცრემლები უშლიდა ხელს, ამიტომ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეუბნებოდა მამაშენს: „ეს უბრალოდ, ჩემი მოვალეობაა ბორის ძაძამიას ნათელი ხსოვნის წინაშე! მან ჩვენთან ერთად ჭირის სუფრაზე ხუთი ნუთიც კი ვერ გაძლო, ცრემლები ღვარად სდიოდა, მოიბოდიშა და გარეთ გავიდა...“

საზოგადოება მადლიერია რობერტის დედის, კეთილშობილი ქალბატონის — მალინა ცომაიას მიმართ, ასეთი ჭეშმარიტი მამულოშვილის აღზრდისათვის.

რაც შეეხება მამაშენს, ჩემო ბორია, არ დაგიმაღავ — მისი სულიერი მდგომარეობა უშმიძესია. ერთ საღამოს მამაშენმა, რომელიც ახლა გამოსავალს ღვინოში ხედავს, სევდანარევი ღიმილით მითხრა; „ღვინოა ჩემთვის შვება და ლხენა, მისგან არ მახსოვს ნამცეცი წყენაო.“ არც კი ვიცოდი, რა მესასუბა, მწარედ გამეღიმა მხოლოდ... იმ ცრემლიან დღეებში შენი სოხუმელი მეგობრები, ცნობილი ფეხბურთელები — გრიგოლ ცაავა, გოჩა ჟორჟოლიანი, მელონ ბიგავა, სხვებიც ჩამოვიდნენ...

ჟორჯოლიანი მერცე ჩამოსულა და მამაშენი ასე გაუმხნევებია: „ილიჩ, ხომ იცი, მეც თერთმეტი წლის ბჭი დამეღუპა“ მე და შენ ხომ ვაჭკაცებთ ვართ, ამიტომ სხვა გზა არ გვაქვს, გაუსაძლის ტკივილს უნდა გავუძლოთო!... შენმა მამიდაშვილმა რამინ შენგელიამ სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოსვლა ვერ შეძლო, ძმის, რაფიელის გარდაცვალებიდან მხოლოდ ორმოცი დღე იყო გასული. ტელეფონზე უთქვამს, თუ ჩამოვალ, გული ვერ გაუძლებსო ამ ვითარებას... ან რითი ვანუგეშო ინდიკო ბიძას ოჯახიო!...

უდიდესი ტკივილი მიიღეს შენმა დემა — ნუნუმ, ნაზიმ, იამ, — შენი უეცარი გასვლით ამა სოფლიდან... როგორ დადარდიანდნენ შენი საყვარელი დისშვილები: ეკა, თეონა, ირაკლი და გიორგი. შენს ტრაგედიას ვერ გაუძლო შენი სიძის — ემზარ კვარაცხელიას ნაიარევმა გულმა... ჩემო ბორის, შენი საფლავი ისეა მოწყობილი, როგორც შენს უკდავ ხსოვნას შეეფერება!

ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ამოვა შენს საფლავზე, დახვდება შენეული საოცარი ღიმილი და შემართება: „ღმერთმა გაგახაროთ!“ ბორის, მჯერა, შენს მიერ განეული უდიდესი მადლი და სიკეთე გინათებს გზას სასუფეველში!

გვარადეგს ნათელი უფლისა და შუქი იმ კელაპტრისა, მარად რომ ანთია ჩვენს გულებში! ღვთიური მადლი ეფინოს შენს ადგილსამყოფელს ზეციურ საქართველოში! ამინ!

ღვთიური მადლი ეფინოს შენს ადგილსამყოფელს ზეციურ საქართველოში! ამინ!

გულისტკივილითა და მონატრებით, ზიძაშვილი ვალერი ძაძამია.

ბორისი — ეს იმ საოცარი და წმინდა ადამიანის სახელია, რომელიც უფალმა, როგორც თავისი რჩეული, ცათა სასუფეველში წაიყვანა.

ბორისი — ეს იყო ადამიანი — მოვლენა, საოცრება, მორწმუნე, ხატმწერი, სათნო, თავმდაბალი, გულკეთილი და გულღია, სპეტაკი, უსაყვარლესი, თბილი, ტკბილი, ანუ სიტყვები არ მყოფნის მის სადიდებლად!

იგი ჩემთვის სულის მანათობელი და სიმშვიდე იყო, იყო ძმა და მეგობარი, მრჩეველი, მოძღვარი, სიკეთის მთესავი, ბრძენი და მიმტყვევლი. საქმეს, რასაც და ვისთვისაც აკეთებდა, დიდი სიყვარულს აქსოვდა. მისი ოჯახში მოსვლით, ყველაფერს სხვა ნათელი ედებოდა, ადამიანთა გულებს ამზიანებდა. თავისი

სატკივარი

მტკვერმეტყველებით ამკობდა სუფრას. მასთან ერთი შეხვედრაც საკმარისი იყო, რომ შეგეყვარებოდა. ჰქონდა იუმორის საოცარი გრძობა...

მისმა სიკვდილმა დაჩრდილა უამრავი ადამიანის ცული. პირადად მე დავკარგე ადამიანი — მასწავლებელი, მეგობარი და დიდი ძმა!

არასოდეს დაგივიწყებ ჩემო კეთილი და საყვარელი ადამიანო. შენ ჩემს გულში მუდმივი თანამგზავრი იქნები. დარწმუნებული ვარ, რომ ცათა სასუფეველიდანაც დამლოცავ და დამეხმარები. როგორ მომეხატებოდა შენი ტკბილი მოსალმება: „ღმერთმა გაგახაროსო!“ — როგორც გჩვევდა ხოლმე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული...

მინდა იცოდე, რომ მე, შენი შეძენილი დაიკო ყოველთვის ვილოცებ შენთვის. ნათელი და სანთელი შენს გზას, მიყვარხარ და ძალიან, ძალიან მენატრები!...

დიდი სიყვარული, შენი რიტა.

ჩემს საყვარელ ბორის ძაძამიას

ბედი სასტიკი მაგონებს ჯვარცმას, ოხ, რა საშინლად შეჩერდა წამი, რატომ დაგვტოვე ბორისი, სად ხარ? ისევ განტრობ და მივედევარ ქარში... სანთლებს ავანთებ წმინდა ხატებთან, იქნებ ლოცვებით გიხილო მაინც; ძნელია, როცა შენებრ სპეტაკი ადამიანი გვტოვებს უდროოდ, ძაძით მოსილი დედის თვალებში არის ცრემლები მწველი უზომოდ. მაგრამ უფალთან ამაღლი ბორისი, იქ, სამოთხეში გელოდნენ, ვიცი, ანგელოზები ზარების რეკითო...

რიტა თოფურიანი.

„ღმერთმა დაგლოცო!“

ამ სიტყვებით შემოაღებდი კარებს და გალიმებული შემოხვდოდი ხოლმე. შენს ღიმილში სიყვარულთან ერთად მოკრძალება და მორიდებაც ამოიკითხებოდა. თითქოს ჩემი ხშირი სტუმრობით თავი ხომ არ მოგაბებრეთო. — არადა, როგორი სასურველი სტუმარი იყავი, როგორი სიხარულით ველოდი მთელი ოჯახი შენს მოსვლას. რამდენჯერ სადინ გავცივებოდა შენს ლოინში, რადგან უშენოდ სუფრასთან არავინ ჯდებოდა. შენს მიერ დალოცული სუფრასთან ყველაფერი გემრიელი იყო.

ძალიან უყვარდი ჩემს შვილებს, ძმაო ბორისი. სულ თვალწინ მიდგას მათი გახარებული თვალები, მათი გულიანი გაცილი შენს სხარტ იუმორზე. როგორი ენაწყლიანი ლაპარაკი იცოდი, ყვებოდი ისე საინტერესოდ, რომ ბავშვები გაფაცივებით გისმენდნენ. ისინი დღემდე იხსენებენ შენს ნაამბობს და გაიხსენებენ კიდევ დიდხანს, რადგან მე მათ არასდროს დავავიწყებ, რომ ჰყავდათ ბიძა — ბორის ძაძამია. მახსოვს, შაბათ საღამოს დაგვიბარე, რომ დილით ბავშვებს ტაძარში შენ წაიყვანდი. უთენია ნამოვარდნენ ლოგინიდან მარიამი და ანა, მათ ძალიან უხაროდათ ბორის ბიძისთან ერთად ტაძარში წასვლა.

ჩვენი ასეთი დაახლოება ინდიკო ბიძის ოპერაციამ გამოიწვია. შენ მას თავზე ედებე და უწოდდი. ერთი ღამე არ დაგატოვებია მარტო საავადმყოფოში და ჩვენთან არ დარჩენილხარ. გოცნებული იყო მთელი მედერსონალი შენი მზრუნველობით მამაზე, შენი მამასთან



დამოკიდებულებით და პატივისცემით, რაც არ შეიძლებოდა არ შეგვეჩვენია.

როცა ინდიკო ბიძია მოკეთდა და სახლში წაიყვანე, მის მერე მთელი ერთი კვირის განმავლობაში ბავშვები, სკოლიდან დაბრუნებული, კარს შემოაღებდნენ თუ არა მეკითხებოდნენ, ბორის ბიძია მოვიდა?..

ძალიან დაგვაკლდი მამინ, თითქოს სახლმაც მოინყინა. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები ახლა, ჩემო საყვარელი ძმაო. დააკლდა ჩემს შვილებს ბიძა, რომელიც სწორ-მართალ ცხოვრებას ასწავლიდა, იმ გზაზე სიარულს ასწავლიდა, რომელზეც უნდა გაიაროს ქრისტიანმა ადამიანმა. ბევრის მოცემა მოასწარა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრს ველოდი შენგან. დააკლდა ბიძაშენის ოჯახს შვილი, რომელსაც არასდროს არ ავინყვებოდა მოხუცი ბიძა და ბიკოლა. ყოველ დღე სასწაულზე ამოდიოდი ჩვენთან სოფელში, ამოგყავდა მოხუცი მშობლები და მამიდა და მათი ერთმანეთის ნახვის სიხარულით გულგამთბარი მიდიოდი სახლში. ასე მეგონა, ყველა გულის ნადები იცოდი, რადგან აკეთებდი იმას, რასაც გაიფიქრებდა ადამიანი.

სიბრძნე, სიკეთე, მოკრძალება, ღვთის სიყვარული, ხალხის სიყვარული — რამდენი რამე იყო შენში მისაბაძი. შენ გამორჩეული იყავი, როგორც შენი დარბაისული გარეგნობით, ასევე შენი ბრძნული და ფაქიზი ბუნებით. შენი ყოველი სიტყვა გათვლილი იყო, შენი ყოველი მოქმედება — მისაბაძი. სულსწრაფი არ იყავი, — იყავი დინჯი. მახსოვს, ერთხელ თხოვე: „ბორის, დევიკოც აიყვანე ტაძარში, იქნებ ესეც შენს გზას დააყენო მთეტი“. შენი პასუხი ახლაც ყურში ჩაესმის — „არ იქნარო, მოვა დრო და ის თავისით მივა ღმერთთანო.“ იმ დღიდან დევიკოსთვის არ დამიძალბებია ტაძარში გამოვყვოლოდა.

ძალიან გაუჭირდა დევიკოს შენი დაკრძალვა. ასეთი საცოდავი და გულწვილი მე ის არასდროს მინახავს. ყოველ შენს ხსენებაზე სახე აუცახცახვებდა და ღაბაღუპით ჩამოსდის თვალებიდან ცრემლები. არასდროს არ უთქვამს ძმა არ მყავსო. მისი ძმები თქვენ იყავით, მამიდაშვილები. ხერხემალი გადაუტეხე შენს ძმებს და დებს. გააშვეე და გააუბედურე ისინი. შენმა არყოფნამ გააუბედურა შენი ნაფრები და ნალოლიანები დედამა, რომლებსთვისაც ალბათ სიტყვა არასდროს შეგიბრუნებია.

არ არსებობს სიტყვა ისეთი, რომელიც თუნდაც ერთი წამით შეგებს მოპკვრის შენს დატანჯულ მშობლებს. არადა, როგორ ხარობდა მათი გული იმ ავებდითი დილის გათენებამდე. არადა, როგორ გიხაროდა სიცოცხლე, ყოველი დილა, რადგან იცოდი, რომ ღმერთი შენთან იყო და შენ მას ეკუთვნოდი. ნუთუ ყოველივე ამის შემდეგაც შეიძლებოდა შენს გვერდით ემზაკი ჩასაფრებულყო.

გაი, რომ ასეც ყოფილა. თვით ბორის ძაძამია, რომელიც ათენ-ალამებლად ღვთისმშობლის წინააღმდეგ ცხოვრებაში მშობლების წინააღმდეგ წავიდა, რათა თავი ღმერთისათვის მიეძღვნა, ემზაკის მსხვერპლი გახდა. მაგრამ მჯერა, რომ შენს ლოცვას ამაღლ არ ჩაუფლია — შენ იქ ანგელოზად დახვდები შენს ტანჯულ მშობლებს და ახლოლებს. ამის იმედი ასულდგმულებს დედაშენს და ჩვენც გვიადვილებს უშენობას.

ვიცი, იქდანაც გვიცავ და გვლოცავ ჩვენი ღვთისნიერო ადამიანნი: ღმერთმა დაგლოცოს და დაგიმკვიდროს სასუფეველი ზეცაში. ამინ!

შენი და ნანა სიჭინავა და ძმა დევიკო მთელი ოჯახით.

ნოვოზურნი

რედაქტორი — ვალერი ძაძამია

„ნოვოზურის“ მისამართი: ნალენჯისა — ობუჯი
ლეო ქიაჩელის №37. ტელ: 591 91-32-89; 790 87 83 94
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

ანკობა და დაკაბადონება — თია მიშველია
ტელ: 555 49-22-07